მერაბ კალანდაძე

ალექსანდრე ორბელიანი
დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2010

ნინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები, ახსნას მათი გამომწვევი მიზეზები. ამ კუთხით ეს თემა ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ეცანით მასზე ყურადღების გამახვილება. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლის კიდევ ერთი უცნობი ფურცელი.

განკუთვნილია დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის და სტუდენტებისათვის.

რედაქტორი როსტომ ჩხეიძე
რეცენზენტები ნინო ნამორაძე
ნინო ვახანია

ISBN 978-99940-55-98-2

© მერაბ კალანდაძე, 2010

შესავალი

ნიკოლოზ ბართაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების აღიარებულ ლიდერებად გვევლინებიან. მათი სახით საქმე გვაქვს XIX საუკუნის 60-იანი წლების თერგდალეულების და პირველ რიგში დიდი ილია ჭავჭავაძის ღირსეულ წინამორბედთან.

ალექსანდრე ორბელიანმა თავისი სიტყვა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების გაშუქების და პოპულარიზაციის საქმეში. სწორედ, ამაში მდგომარეობდა ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება. ამის გვერდის ავლა, ცხადია, სწორი არ იქნებოდა და ალექსანდრე ორბელიანის ღვაწლზე ამომწურავ წარმოდგენას როდი შეგვიქმნის. თემა არის აქტუალური და საინტერესო. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების კიდევ ერთი ახალი და სუფთა ფურცელი.

ალექსანდრე ორბელიანის მდიდარ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გულისტკივილითაა გაჯერებული, ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო მსჯელობა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. ის ძალიან კარგად იცნობდა არა მხოლოდ საქართველოს წარსულს, არამედ ჩახედული ჩანს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ძირითად პრობლემებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. ამ კუთხით ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებები ისტორიოგრაფიაში ჯერ არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი და ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ეს ხარვეზი და სპეციალურად განგვეხილა აღნიშნული თემა.

აქ, უდაოდ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ალ. ორბელიანი არასოდეს არ ისახავდა მიზნად დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო თემების საგანგებოდ გაშუქებას და მას მხოლოდ საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში შეეხებოდა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მას ჩვენთ-

ვის საინტერესო საკითხზე ბევრი არ აქვს დანერილი. ეს მასალა პირობით ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: კონკრეტული. ასეთად მიგვაჩნია მისი წერილები „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა" და „სიტყვა იტალიისათვის". და ზოგადი. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს მისი ცალკეული გამონათქვამები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ზოგიერთ საკითხზე, რომელიც თუ კარგად ჩავუკვირდებით შეიცავს მინიშნებას როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამ თემებისადმი. პირველი შეიცავს შედარებით მდიდარ ინფორმაციას, ხოლო მეორე კი არა. ამიტომ იძულებული ვართ ვარაუდების სფეროთი შემოვიფარგლოთ. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ზოგიერთი საინტერესო თემისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულებაზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია"გაგვაჩნია. მნიშვნელოვანწილად ეს იმით იყო გამონვეული, რომ ალ. ორბელიანი ამ საკითხებს მხოლოდ გაკვრით ეხება და უმთავრესად საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში განიხილავს. ეს მცირე მასალა, უდაოდ, საინტერესოდ მიგვაჩნია და მისი წაყრუება, მიჩუმათება გამარილებული არ უნდა ჩანდეს. „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ორბელიანის ცოდნა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით არ ამოინურებოდა და ის გარკვეულ დაინტერესებას ამჟღავნებდა დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის პრობლემატიკისადმი. როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს ის იცნობდა ინგლისელი ისტორიკოსების ედუარდ გიბონის და ტომას ბაბინგტონ მაკოლის შრომებს. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და ქართულ სინამდვილეში ამ თემატიკით დაინტერესების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვეელინება.

საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლას თავისი ტრადიცია გააჩნია მისმა პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები და ნაპოლეონზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი, საქართველოში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესების კულმინაციად, მწვერვალად, მიგვაჩნია. ამიტომ მონაკვეთი XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ამ საკითხის შესწავლის წინა ისტორიას უნდა განეკუთ-

ვნოს, როდესაც ჩნდება ცალკეული სპორადული ცნობები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის მთავარ თემებზე [1.3].

ალ. ორბელიანი დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პრობლემებზე ძირითადად თავის წერილებში მსჯელობს, რომელიც როგორც ისტორიული წყარო, მემუარებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო სანდოა. მისი ავტორი წერილების პუბლიკაციას არ ფიქრობს და არ ცდილობს შთამომავლობის თვალში რაღაცის გადასხვაფერებას, შელამაზებას, როგორც ეს ხდება მემუარებში.

წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული პრობლემის შესწავლის დაწყების მცდელობას წარმოადგენს. შესაძლოა, შემდგომში კიდევ გამოვლინდეს ახალი საინტერესო მასალა, ამიტომ მიზანშენონილი იქნებოდა ამ კვლევის გაგრძელება, რაც აღნიშნული თემის უფრო ადეკვატურ სურათს შეგვიქმნის [2.3].

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე ალ. ორბელიანის შეხედულებების განხილვის დროს ვცადეთ თავიდან აგვეცილებინა ორი უკიდურესობა. მისი შეხედულებების აპოლოგეტური შეფასება, ხოტბა, ქება-დიდება და პირიქით მისი ნააზრევისადმი სუპერკრიტიკული დამოკიდებულება, განქიქება, მიწასთან გასწორება. დღევანდელი გადასახედიდან მისი მკაცრად განსჯა გამართლებული არ იქნებოდა. ჩვენ ვცადეთ გამოგვერკვია დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებზე ალექსანდრე ორბელიანის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები და აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები. თუ როგორ გავართვით თავი ამ ამოცანას ამას პირუთვნელი მკითხველი განსჯის.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999.
2. ჩვენ ვნახეთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები H-2412 და H-2452. არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო მასალა კიდევ სადღაც იყოს და შემდგომში გამოვლენილი იქნას.
3 გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ნან., III. თბ., 1976.

თავი I

ალექსანდრე ორბელიანი და ნაპოლეონი

ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობით დაინტერესდა ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში. ის ამ ეპოქის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ იქნება გავეცნოთ, თუ როგორ აფასებდა იგი ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობას. თემა არის საინტერესო და აქტუალური მით უმეტეს, რომ ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

მწერალმა როსტომ ჩხეიძემ მიაკვლია ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო წერილს „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა", რომელიც დაწერილია 1844 წლის 3 ივნისს კაზრეთში და გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში". [1].

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს პატარა, მაგრამ საინტერესო პუბლიკაცია, ქართული ნაპოლეონიანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. ალექსანდრე ორბელიანს სხვა რომ არაფერი დაეწერა, მისი ანალიტიკური აზროვნების საილუსტრაციოდ, ალბათ, ეს პატარა, მაგრამ ღრმა შინაარსის წერილიც იკმარებდა.

ალ. ორბელიანის დაინტერესება ნაპოლეონის მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და რამდენიმე ფაქტორით უნდა იყოს მოტივირებული: მას როგორც რომანტიკოსს ნაპოლეონი იტაცებდა და ხიბლავდა როგორც ძლიერი პიროვნება. ყოველგვარი დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი, რომელიც მთელ აბსოლუტისტურ ევროპას უპირისპირდებოდა და რომანტიკოსებს მათთვის სასურველი,

ზედმეტი ადამიანის განსახიერებად ესახებოდათ. ქართველი რომანტიკოსების, კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ალექსანდრე ორბელიანის გატაცებას ნაპოლეონის პიროვნებით გააჩნდა მძლავრი პატრიოტული მუხტი. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მათ ხიბლავდათ ნაპოლეონის ტრიუმფალური წარმატებების პატრიოტული მხარე. ნაპოლეონმა თავისი ნიჭის, ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით, თავის სამშობლოს, საფრანგეთს, შორს გაუთქვა სახელი. ცხადია, ისინი ოცნებობდნენ, რომ ასეთი გმირი საქართველოშიც გამოჩენილიყო და მის სახელს საქართველოს გადარჩენას უკავშირებდნენ.

რა თქმა უნდა პირველ ყოვლისა, თანამედროვე მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს მართლწერის საკითხი – ნაპოლეონი. შესაძლოა, მაშინ ასე იყო მიღებული, მაგრამ ამგვარი მართლწერა ვერ დამკვიდრდა და მალე დავიწყებულ იქნა.

ალ. ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თემა მან ძალიან კარგად შეარჩია. მის ყურადღების ცენტრში მოექცა ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური საკითხი ინგლის-საფრანგეთის უკომპრომისო დაპირისპირება XIX საუკუნის გარიჟრაჟზე [2. 159]. მართალია, ალ. ორბელიანმა ერთი კონკრეტული საკითხი აიღო, მაგრამ საკმაოდ დიდი ერუდიცია გამოამჟღავნა და ამ ეპოქის ისტორიის ძალიან კარგი ცოდნა გამოავლინა.

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისს შორის უმწვავესი კონფლიქტით ალ. ორბელიანის დაინტერესება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მას ევროპის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად, საფუძვლად ედო ქართული რეალობა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ პრობლემას არ შეიძლება ალ. ორბელიანისათვის არ აღეძრა რუსეთ–საქართველოს დაპირისპირების ანალოგია, და ის ნაპოლეონსა და საფრანგეთს შორის კონფლიქტის მინიატურად წარმოუდგებოდა. ამიტომ ალ. ორბელიანის ეს პატარა ნერილი წმინდა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მნიშვნელობასთან

ერთად, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ღირებულებას.

„იქნებ ძალზე შორეული ასოციაციაა, მაგრამ მეჩვენება, რომ ქართველ ავტორს (ე. ი. ალ. ორბელიანს – მ. კ.) ნაპოლეონზე წერის დროს ერეკლეს სახება უდგას თვალწინ, ხოლო ინგლისის მთავრობის უსამართლო და უღირსი საქციელი რუსეთის უღირს საქციელს აგონებს. ერეკლემ თავისი ვაჟკაცობით, ქვეყნის სიყვარულითა და მაღალზნეობრივი ცნობიერებით ხალხის გულში სამუდამოდ დაიმკვიდრა საყვარელი მეფის სახელი, ხოლო მაშინდელმა რუსეთის მთავრობამ, რომელმაც არაერთხელ მოატყუა ერეკლე და ვერაგულად უღალატა საქართველოს, „სულ აღარაფერი სახელი დაიგდო" [1. გვ. 172].

უწინარესად ყურადღებას იპყრობს ამ საკითხში მისი ინფორმირებულობა, რაც მისასალმებელი უნდა იყოს. ალ. ორბელიანი საკმაოდ კარგადაა ჩახედული XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპის ისტორიის რთულ პერიპეტიებში, კონკრეტულად კი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ტენდენციებში. იგი, ფრიდრიხ შილერის მსგავსად, ამ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ კვანძს ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში ხედავდა. ამ უშელავათო ბრძოლაში, ბაირონის მსგავსად, ალ. ორბელიანის სიმპათიები მთლიანად უფრო პროგრესული საწყისისაკენ, ნაპოლეონის საფრანგეთისაკენ იხრებოდა. მიუხედავად საფრანგეთისადმი კეთილგანწყობილებისა, უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანის პოზიცია საკმაოდ ახლოა რეალობასთან.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება იმ კონკრეტული წყაროების დადგენა, საიდანაც იღებდა ინფორმაციას ალ. ორბელიანი. მიუხედავად ამისა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ იგი ძალიან კარგად იცნობდა ნაპოლეონის ეპოქის ისტორიას და მასზე არსებულ ლიტერატურას.

ალ. ორბელიანმა შესანიშნავად დაინახა, რომ საფრანგეთის მთავარი მონინააღმდეგე, სწორედ, „ნისლიანი ალბიონია". იგი საკმაოდ კარგადაა ჩახედული მათ შორის მიმდინარე ბრძოლის პერიპეტიებში, ხასიათში და მეთოდებში. „საფრანგეთი თავისი ძალით და საკუთარი გონებით მოქმედებდა, ხოლო ანგლია, ფულით და საიდუმლო პოლიტიკით. პირველთან მთელი ევროპა ძრწოდა შიშით, მეორე კი მთელი ძალისხმევით უმეგობრდებოდა ევროპას და ნაპოლეონს ძირს უთხრიდა. უკანასკნელმა დასძლია. მაინც ასეა. პირდაპირ კაცს, თუნდაც დიდი გონიერება ჰქონდეს და ბევრის დაკლებაც შეეძლოს, ბოლოს წინააღმდეგი ცბიერი კაცი აჯობებს, ნამეტნავად თუ ფულის შემწეობა აქვს და დახარჯვასაც არ დაიშურებს" [1].

ინგლისის პოლიტიკის კრიტიკა წმინდა მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობისა, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, პოლიტიკური მუხტის შემცველია და მასში რუსეთის პოლიტიკური კურსით ალ. ორბელიანის უკმაყოფილების ირიბი ანარეკლი უნდა დავინახოთ.

ალ. ორბელიანს XIX საუკუნის დასაწყისში[1] დასავლეთ ევროპაში პროგრესული საწყისის განსახიერებად, სწორედ, ნაპოლეონი და იმ ხანის საფრანგეთი ესახებოდა. ეს თვალსაზრისი, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს და ალ. ორბელიანის მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. მისი პროფრანგული ორიენტაცია პროგრესულ–ლიბერალურ ღირებულებებზე იყო გათვლილი და გააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი. შესაძლოა, ალ. ორბელიანი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას შელამაზებული სახით წარმოაჩენდა და ნაპოლეონისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო. ეს მისი ანალიტიკური მსჯელობის ემოციური მუხტია. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის სიახლე, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანს, რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, იმ ეპოქის მონინავე ევროპული ლიტერატურული აზროვნების დონემდე ამაღლებს.

ნაპოლეონის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები ვარდისფერებში წარმოაჩენენ ნაპოლეონის ომებს, ყოველმხრივ ცდილობენ მიჩქმალონ საფრანგეთის პოლიტიკის აგრესიული ხასიათი, ნაპოლეონის ექსპანსიონისტური მისწრაფებები. ნაპოლეონის დიდი თაყვანისმცემელი, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ალბერ ვანდალი წერდა: „ნაპოლეონი ელბაზე და ოდერზე რომ იბრძოდა, მაშინაც საფრანგეთს იცავდა". ეს უკვე მეტისმეტია. ეს გაცილებით უფრო ბევრია, ვიდრე ფრანგი პოლიტიკოსების ისტორიკოსების სასურველი თეზისი „ბუნებრივი საზღვრების" შესახებ: ატლანტიის ოკეანე, პირინეი, რაინი, ალპები. სხვათა შორის, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა ცოტა შელამაზებული სახით არის წარმოჩენილი ისტორიკოს ალბერტ მანფრედის საინტერესო წიგნში „ნაპოლეონ ბონაპარტე" [3]. ნაპოლეონის მშვიდობისმოყვარეობაზე საუბარი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ძალიან საკამათოა.

უნდა დავეთანხმოთ გამოჩენილ გერმანელ მწერალს ფრიდრიხ შილერს, რომელიც თავის ლექსში „ახალი საუკუნის დასაწყისი", რომელიც დაწერილია 1801 წელს, დასძენდა, რომ ამ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ინგლის–საფრანგეთის მეტოქეობა. ეს ორივე ქვეყანა იბრძვის მსოფლიო ბატონობისათვის – საფრანგეთი ხმელეთზე, ინგლისი კი ზღვაზე და გულისტკივილით დასძენს „არ არის დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც ყვავის თავისუფლება" [4. 321]. თუ შილერის მსჯელობაში პესიმისტური ტონი იგრძნობა, ალ. ორბელიანი უფრო ოპტიმისტურად გახლავთ განწყობილი. თუ ამ ბრძოლაში ინგლისი უმთავრესად კონსერვატიულ საწყისს ანსახიერებდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ძალღონეს არ იშურებდა, რათა წინ აღდგომოდა ახალი იდეების გავრცელებას, ნაპოლეონი პირიქით, ებრძოდა ევროპის აბსოლუტურ მონარქებს. „ნაპოლეონმა აბსოლუტიზმს მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა, რომ ის ამისაგან წელში მეტი ვეღარ გასწორდა. ამაში მდგომარეობდა ამ ეპოპეის პროგრესული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული" [5. გვ. 9] – დასძენს აკად. ევგენი ტარლე. ალ. ორ-

ბელიანმა ძალიან კარგად გაიცნობიერა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება იყო პირველობისათვის, მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლა და ამ უშელავათო დავაში მისი სიმპათიები მთლიანად ნაპოლეონის და საფრანგეთისაკენ იხრება, რომელიც მისი ღრმა რწმენით, გაცილებით უფრო პროგრესულ საწყისს განასახიერებდა. ამაში ალ. ორბელიანი სავსებით მართალი იყო, მაგრამ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შელამაზება მაინც არ ღირს. ნაპოლეონს სურდა საფრანგეთის ‚ჰეგემონიის დამყარება. აქედან იღებს სათავეს მისი პოლიტიკისათვის ნიშანდობლივი აგრესიული და ექსპანსიონისტური მისწრაფებები. და ამის წაყრუება მართებული არ იქნებოდა.

ალ. ორბელიანის და ფრ. შილერის მოსაზრებებს შორის არსებული სხვაობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ ისინი ამ საკითხს სხვადასხვა კრიტერიუმით უდგებიან. ალ. ორბელიანი ამ თემას განიხილავს პროგრესის, წინსვლის თვალსაზრისით, შილერი კი სამართლიანობის პოზიციებიდან. პროგრესი ხშირად სამართლიანი გზით არ ხორციელდება და მტკივნეულ ხასიათს ატარებს.

ალ. ორბელიანს არც ის გარემოება გამოპარვია მხედველობიდან, რომ ინგლისი ამ ბრძოლაში უმთავრესად იყენებდა „სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკას“ და ამ უკომპრომისო ჭიდილში უპირატესად თავის ფინანსებს ეყრდნობოდა. უხვად ამარაგებდა ფულით ნაპოლეონის წინააღმდეგ მის მიერ შექმნილ კოალიციებს. ბისმარკის თქმით, „ინგლისი ყოველთვის პოულობდა ისეთ სულელს, რომელიც საკუთარი მკერდით დაიცავდა მის ინტერესებს“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უშელავათო დაპირისპირებაში ინგლისი საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ალ. ორბელიანი ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთმა, ნაპოლეონის დროს, მრავალი უსიამოვნება მიაყენა ინგლისს და არაერთხელ დასცა ბეჭებზე თავისი მრისხანე კონკურენტი. კონკრეტული ფაქტები ალ. ორბელიანს არ მოყავს, მაგრამ სავარაუდოა, რომ

შემდეგ მოვლენებს უნდა გულისხმობდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ დაპირისპირების კონკრეტულ ფაქტობრივ მხარეს ის საკმაოდ კარგად იცნობდა. 1802 წლის 27 მარტს ხელმოწერილ იქნა ამიენის ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის. აღსანიშნავია, რომ ზავის თანახმად, ინგლისმა საფრანგეთს ვერც ერთი დაპყრობილი ტერიტორია ვერ დაათმობინა. ეს ნაპოლეონის პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ტალეირანი თავის მემუარებში აღნიშნავდა „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ამიენის ზავის შემდეგ, საფრანგეთი სარგებლობდა ისეთი დიდებით, სახელით, ძალაუფლებით, რომ ყველაზე პატივმოყვარე გმირიც კი ვერ ინატრებდა უკეთესს თავისი სამშობლოსათვის. უფრო საკვირველი იყო ის სისწრაფე, რომელშიც შეიქმნა ეს მდგომარეობა. ორნელინადნახევარზე ცოტა ხანში – 1799 წლის 9 ნოემბრიდან – 1802 წლის 27 მარტამდე, საფრანგეთმა თავი დააღწია დამცირებულ მდგომარეობას, რომელშიც ის აღმოჩნდა დირექტორიის მეშვეობით და დაიკავა ევროპაში პირველი ადგილი" [6. 164]. შემდგომში ინგლისი კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩავარდა. აუსტერლიცთან ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებამ შეინირა საფრანგეთის ყველაზე უფრო დაუძინებელი მტერი ინგლისის პრემიერ-მინისტრი, კონსერვატული პარტიის აღიარებული თავკაცი უილიამ პიტი-უმცროსი. როდესაც 1806 წლის 23 იანვარს მას მოახსენეს აუსტერლიცის ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვება, მან ერთი მწარედ ამოიოხრა და მეორე მხარეს გადაბრუნდა, შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ რუკას და წინასწარმეტყველურად წარმოთქვა „ჩამოხსენით ეს რუკა. იგი ინგლისს ათი წლის განმავლობაში აღარ დასჭირდებაო" და სული განუტევა. ეს მართლაც ასე მოხდა. ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია მყარდება. ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით ინგლისის ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებამ ტრაფალგართან ბრძოლაში 1805 წლის 20 ოქტომბერს ინგლისი უფრო მეტი უსიამოვნებისაგან იხსნა. ინგლისში ფრანგული დესანტის გადასხმა პრაქტიკულად გამოირიცხა. ინგლისის დამოუკიდებლობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. სერ უინსტონ ჩერჩილის

თქმით „თავისი ბრძოლებიდან ბრიტანეთი ყოველთვის იგებს ერთს – გადამწყვეტს". ეს იყო ვატერლოოს ბრძოლა 1815 წლის 18 ივნისს.

ალ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს დამარცხებული ნაპოლეონისადმი ინგლისელების დამოკიდებულებაზე. ამ საკითხისადმი მისი მიდგომა საინტერესოა. აი რას წერდა იგი. „როგორც ნაპალიონის დროს მაშინდელი ანგლიის მთავრობა დიდი კაცი იყო, ისე მისი უბედურების დროს მცირე სული შეიქმნა, როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ საკუთარი ხასიათი გამოიჩინა, ისე უბედურების დროს უხასიათო შეიქმნა" [1]. ნაპოლეონისადმი პატივისცემის ფონზე ცდილობს გამოკვეთოს ინგლისის მთავრობის მოქმედების პლუსები და მინუსები. ამის შემდეგ ალ. ორბელიანი დასძენს „როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს ნაპალიონის დათრგუნვა უნდოდა მაშინდელი ანგლიის მთავრობას და შეურიგებელი მტერი იყო, ისე მისი უბედურების დროს წყნარი მწუხარებით კლავდა ნაპოლიონს. პირველ ქცევას ანგლიის მთავრობისა ძლიერი პატივი ეკუთვნის და მეორეს სიმდაბლისა" [1]. აქ მას, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლება ჰქონდა მხედველობაში. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამ შედარების დროს ალ. ორბელიანის სიმპათიები სულ მთლიანად ნაპოლეონის მხარეზეა და მიუხედავად ნაპოლეონისადმი აშკარა კეთილგანწყობისა უნდა აღინიშნოს, რომ მისი მსჯელობა მეტად ახლოა სინამდვილესთან.

ამ მცირე მოცულობის საინტერესო წერილის დასასრული, აღნიშნული საკითხისადმი ალ. ორბელიანის შეხედულებების თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია და ნაპოლეონის აპოთეოზად ულერს. „ნაპალიონის ბედნიერების დროს ისტორიის მაღალი პირი შეიქმნა მაშინდელი ანგლიის მთავრობა და ნაპალიონის უბედურების დროს ისტორიის ხარისხი სულ დაკარგა და დასასრული რა იყოს? ნაპალიონი უდიდეს და უსაყვარლეს ნაპალიონად დარჩა! მაგრამ მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ სულ აღარაფერი სახელი დაიგდო" [1]. ნაპოლეონის მიმართ ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობილება, ცხადია, ცარ-

იელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად, იმით იყო განპირობებული, რომ ალ. ორბელიანი ძირითადად სამხედრო ბონაპარტიზმზე ორიენტირებული და მასში ხედავდა ძლიერ პიროვნებას, ხიბლავდა მისი საქმენი საგმირონი. ძნელის საფიქრელია, რომ რომანტიკოსებს გაცნობიერებული ჰქონოდათ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა, ეს მხარე მათ, ალბათ შედარებით ნაკლებად აინტერესებდათ. მართალია, ნაპოლეონი დამარცხდა, მაგრამ ალ. ორბელიანის აზრით, ზნეობრივი, მორალური გამარჯვება ნაპოლეონის მხარეზე იყო. ამას კი ალ. ორბელიანის თვალში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, პირველ ყოვლისა, 1832 წლის შეთქმულების ექო უნდა დავინახოთ. შეთქმულები დამარცხდნენ, მაგრამ მორალურ გამარჯვებას მიაღწიეს. ეტყობა, ამას ალ. ორბელიანის თვალში ძალიან დიდი ფასი ქონდა და ნაპოლეონის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, სწორედ, ამიტომ აირჩია. ცარიზმის კოლონიური უღელით სულშეხუთული ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი დიდპატივს მიაგებენ ნაპოლეონს და აღფრთოვანებული არიან მისი ტრიუმფალური გამარჯვებებით.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ასეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ:

1. ალ. ორბელიანის საინტერესო, ანალიტიკური წერილი „ნაპალეონი და ანგლიის მაშინდელი მთავრობა" დანერილი 1844 წლის 3 ივნისს კაზრეთში, ქართული ნაპოლეონიანას ერთ–ერთ მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია.ნმინდა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ღირებულებასთან ერთად, მას გარკვეული ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია, ეს ასპექტი საინტერესოა.

2. ალ. ორბელიანი საკმაოდ დიდ ერუდიციას ამჟღავნებს. ის კარგად იცნობს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დასავლეთ ევროპის, კონკრეტულად კი ნაპოლეონის ეპოქის ისტო-

რიას. მისი აღნიშნული ნერილი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

3. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლის–საფრანგეთის მეტოქეობით ალ. ორბელიანის დაინტერესება შემთხვევითი არ იყო და ის მასში, უნინარესად რუსეთ–საქართველოს დაპირისპირების ანალოგიას ხედავდა. ალ. ორბელიანის ნერილი ყურადღებას აპყრობს, არა ფაქტობრივი მასალის მშრალი გადმოცემით, არამედ ანალიტიკური მუხტით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ის ფაქტობრივ მასალას ცუდად იცნობდა. პირიქით, ამგვარი საინტერესო მსჯელობა, სნორედ, ფაქტობრივი მასალის კარგ ცოდნას უნდა ემყარებოდეს.

4. ალ. ორბელიანი სავსებით რეალურად აფასებს XIX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობას და ამ საკითხში საკმაოდ ჩახედული ჩანს. ხაზს უსვამს ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთსა და ინგლისს შორის უმწვავეს დაპირისპირებას. ამ სამკვდრო–სასიცოცხლო შეტაკებაში ალ. ორბელიანის სიმპათიები სულ მთლიანად უფრო პროგრესული საწყისისაკენ, ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთისაკენ იხრება. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ინგლისის მზაკვრული პოლიტიკა. ალ. ორბელიანის პროფრანგული ორიენტაცია, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას ევროპის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად, საფუძვლად ედო ქართული რეალობა. აქ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ეგულისხმობთ იმას, რომ აქცენტების ამგვარად დასმაში ცარიზმის მზაკვრული პოლიტიკით ალ. ორბელიანის უკმაყოფილების ირიბი ანარეკლი შეიძლება დავინახოთ.

5. ალ. ორბელიანმა გააგრძელა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ დაწყებული საქმე და განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს. ის, ბარათაშვილის მსგავსად, ბონაპარტისტულად განწყობილ ქართველ რომანტიკოსთა რიგებს მიეკუთვნება, რაც მათი მსოფლმხედველობის პროგრესულობის ერთ–ერთი საუკეთესო საბუთია და ძირითადად ევროპულ რეალიებზე პროგრესულ–ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ეს XIX საუკუნის პირველი ნახევარის ქართული საზოგა-

დოებრივი აზრის ფონზე ახალი სიტყვა იყო და თვისებრივად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

6. ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და უმთავრესად „სამხედრო ბონაპარტიზმზეა" ორიენტირებული. ალ. ორბელიანს კარგად ქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონის გმირული ეპოპეის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ ნაპოლეონის განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი რომანტიკოსები გვერდში ამოუდგნენ თავიანთ ევროპელ თანამოკალმეებს და ნაპოლეონის სახელი გმირული დიდების რომანტიკული შარავანდედით შემოსეს.

7. შესაძლოა, ალ. ორბელიანი, შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ნაპოლეონის ეპოქაში, რაც მისი უდავოდ, შინაარსიანი წერილის „ნაპალიონი და ანგლიის მაშინდელი მთავრობა" აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს თვალისმომჭრელი გამარჯვებები საფრანგეთს მეტად ძვირი დაუჯდა დაუსრულებელი დაპყრობითი ომების შედეგად საფრანგეთი სისხლისგან დაიცალა. მისი გენოფონდი თითქმის განახევრდა, ამიტომ ნაპოლეონის იდეალიზაცია, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ფრანგულ ისტორიოგრაფიას ადოლფ ტიერიდან დაწყებული ლუი მადლენით და ანდრე კასტელოთი დამთავრებული, ცალმხრივია. სულ სხვა უკიდურესობაში ვარდება ფრანგი ისტორიკოსი პიერ ლანფრე, ის, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს იმას, რომ ნაპოლეონმა სისხლით მორწყა ევროპა და სრულიად უგულებელყოფს პოზიტივს, რომელიც ნაპოლეონის სახელს უკავშირდება [7]. მათ შორის კონსენსუსის მიღწევა, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება და ეს დისკუსია, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. [8] სიმართლე გითხრათ ამაში საკვირველს ვერაფერს ვხედავთ. XX საუკუნის ჰოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა".

ლიტერატურა:

1. „ლიტერატურული საქართველო", 1996. 25 ოქტომბერი. ალ. ორბელიანი, სიტყვაა მამულის ტრაპეზზედ, თბ., 1999.
2. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
3. А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973.
4. Фр. Шиллер, Начало нового века - собр. соч. т. 1. М., 1955.
5. Э Тарле, Наполеон, М., 1957.
6. Талейран, Мемуары, М., 1959.
7. П. Ланфре, История Наполеона I. т.т. 1-5. СП-Б., 1870-1877.
8. მ. კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე – ჟურ. „კლდეკარი", 3, 1998.

თავი II

ალექსანდრე ორბელიანი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე

ალექსანდრე ორბელიანი, უდაოდ, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა XIX საუკუნის პირველი ნახევარის საქართველოს ისტორიაში. მან ღრმა კვალი დატოვა იმ ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, ამ პერიოდის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი აღიარებულ თავკაცად, ლიდერად, გვევლინება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანის სახით დიდ ილია ჭავჭავაძეს ღირსეული წინამორბედი ყავდა. ალ. ორბელიანი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე.

რომის ისტორიასთან ერთად, იტალიის წარსულში ყურადღებას იპყრობს და დიდ ინტერესს ინვევს ალორძინების ეპოქა და რისორჯიმენტო. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალ. ორბელიანის დამოკიდებულება იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ალ. ორბელიანის საინტერესო წერილი „სიტყვა იტალიისათვის", რომელიც დაწერილია 1859 წლის 18 მაისს, მას მიაკვლია და პირველად გამოაქვეყნა ბ-ნ როსტომ ჩხეიძემ. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა შესწავლილი და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ორიოდე სიტყვით შევჩერებულიყავით მასზე.

ეტყობა, ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ კარგად იცნობდა და ჩახედული ჩანდა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიის პერიპეტიებში. მისი წერილები „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა" [1] და „სიტყვა იტალიისათვის", [2] ვფიქრობთ, ნათქვამის დასტური უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა ეს წერილი იმ თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას, რომ საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ: ალ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ქართულ სინამდვილეში

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების ინიციატორებად მოგვეველინენ. ალ. ორბელიანის ეს წერილი, როგორც უკვე ითქვა, დაწერილია 1859 წელს, ხოლო ილიას ლექსი „მესმის მესმის" კი 1860 წელს. მათ ეს დაინტერესება სხვადასხვა ფორმით გამოხატეს. ალ. ორბელიანმა პუბლიცისტური, ხოლო ი. ჭავჭავაძემ პოეტური. ალბათ, არის რაღაც სიმბოლური ტმაში, რომ ამ მოვლენას აღფრთოვანებული შეხვდნენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ლიდერები.

უნინარესად, ბუნებრივია, ნამოიჭრება საკითხი რითი იყო გამოწვეული ალ. ორბელიანის დაინტერესება იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ინტერესი ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. მეფის რუსეთის უღელქვეშ მოქცეული საქართველოსთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის იყო აქტუალური თემა და დიდ ინტერესს ინვევდა. მნიშვნელოვან წილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული იტალიის, ირლანდიის, სლავების, ბურების და სხვა ხალხების დამოუკიდებლობის ბრძოლაზე ყურადღების გამახვილება. უდაოდ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე იყო. ფაქტობრივად ალ. ორბელიანისთვის ეს მიმდინარე პოლიტიკა იყო. ცხადია, ყველაფერი ეს სტიმულს აძლევდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ალ. ორბელიანის დაინტერესების გამოლვიძებას.

ალ. ორბელიანის ამ პატარა, მაგრამ საკმაოდ შინაარსიანი წერილის მნიშვნელობას პირველ ყოვლისა განსაზღვრავს მისი ანალიტიკური მუხტი, რომელიც იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტობრივი მასალის კარგად ცოდნას ემყარება. ეს მას პუბლიცისტურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ისტორიოგრაფიულ დატვირთვას ანიჭებს. ფაქტობრივად ალ. ორბელიანის ეს პატარა წერილი წარმოადგენს ქართულ სინამდვილეში იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააზრების, შეფასების, ერთ-ერთ პირველ მცდელობას.

ალ. ორბელიანის წერილი დანერილია 1859 წლის მაისში, როდესაც იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და მიმდინარეობდა. ამის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ალ. ორბელიანის წერილის გაცნობისას რაიმე უკმარისობის გრნობა გიჩნდება ეს მნიშვნელოვანწილად, ეფიქრობთ, სწორედ ამითაა გამოწვეული.

უწინარესად, საჭიროა გამოვარკვიოთ ალ. ორბელიანის კონცეფცია. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასებისას ალ. ორბელიანი უმთავრესად პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული და მისი წერილი თავისუფლებისათვის იტალიელი ხალხის ბრძოლისადმი ღრმა სიმპათიითაა გაჯერებული. „ვინ იცის რავდენი მთების, რავდენი მინდვრების, რავდენი მდინარეების და დასასრულ რავდენი ზღვების აქეთ ვიძახი მე ამას და შევძახი ღმერთს ამასა გულმტკივნეული: ღმერთო! იტალია გაანთავისუფლე!" [1] ამგვარი მიდგომა უპირატესად ევროპულ რეალიებზეა გათვლილი, მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს და იმდროინდელი ქართული სინამდვილის ფონზე სერიოზულ წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენს.

საინტერესოა, რა ინფორმაცია გააჩნია ალ. ორბელიანს იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ამ საკითხის გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მასზე ალ. ორბელიანის წერილი არანაირ მინიშნებას არ შეიცავს და რამის მტკიცება ძალიან ჭირს. ამიტომ იძულებული ვართ ჰიპოთეზების სფეროთი შემოვიფარგლოთ. სავარაუდოა, რომ ის იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ინფორმაციას იღებდა პერიოდულ პრესის მეშვეობით, რომელიც ამ საკითხს საკმაოდ აქტიურად ეხმიანებოდა და დანვრილებით განიხილავდა. რა თქმა უნდა, ძირითადად ვგულისხმობთ რუსულ პრესას.

***

შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანს საკმაოდ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული იტალიის მოდერნიზაციის, თავისუფალი მეწარმეობის, განვითარების, თავისებური ხასიათი. სპეციფიკა, საქმე ის იყო, რომ იტალიაში აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მჭიდროდ იყო გადახლართული იტალიის განთავისუფლების საკითხთან, იტალიელი ისტორიკოსები გაერთიანებისათვის ბრძოლის მთელს ამ პერიოდს რისორჯიმენტის ანუ განახლების ხანას უწოდებდნენ.

განახლებისათვის ბრძოლას მძლავრი სტიმული მისცა საფრანგეთის რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა. ნაპოლენის ბატონობის წლებში იტალიაში ყალიბდება საფრანგეთზე დამოკიდებული რესპუბლიკები. მწვანე შუქი მიეცა იტალიის მოდერნიზაციის პროცესს. ფართოდ მოიკიდა ფეხი საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა, გაერთიანების სურვილმა. ნაპოლეონის რეფორმებმა კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა იტალიაში თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, ნინსვლა და მაინც მიუხედავად ამისა იტალიაში ნაპოლეონის რეჟიმის უსაშველო განდიდება, როგორც ამას ხაზს უსვამს ფრანგი ისტორიკოსი ალფრედ პენგო ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. [3] გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი აკად. ალბერ სორელი ხაზს უსვამს, რომ ფრანგებმა თავიანთი პროპაგანდის წყალობით შეამზადეს ნიადაგი ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლისათვის ევროპაში. საფრანგეთის ექსპინსიონისტურ პოლიტიკას ეროვნული მოძრაობა დაუპირისპირეს. [4] იტალიაში ყალიბდება კარბონალთა ფარული ორგანიზაციები. XIX საუკუნის 30-40 წლებში იკვეთება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის ახალი აზვირთება. იტალიურ რისორჯიმენტოს ისტორიაში ყალიბდება რამდენიმე მიმართულება, 1831 წელს მარსელში ჯუზეპე მაძინის ძალისხმევით შეიქმნა ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია". უკვე მომდევნო წელს კი გამოდის ამავე სახელწოდების გაზეთი, მათ სურდათ რესპუბლიკის საფუძველზე იტალიის გაერთიანება.

იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალურ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა სარდინიის სამეფო. მის მომხრეებს თანამედროვეებმა მეფის კარლ-ემანუელის საპატივცემულოდ „კარლისტები" უწოდეს. მათ გაერთიანებული იტალია კონსტიტუციურ-მონარქიად ჰქონდათ წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, ძალიან კარგი იქნებოდა თავისი წერილი „სიტყვა იტალიისთვის" ალ. ორბელიანის იტალიის გაერთიანების წინარე ისტორიით დაეწყო. ეს ნაბიჯი გამართლებული იქნებოდა როგორც შემეცნებით, ისე მეცნიერული თვალსაზრისით. ასეთი ფონის არქონა ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ.

ალ. ორბელიანის წერილში ძალუმად იგრძნობა თავისუფლებისათვის იტალიელი ხალხის ბრძოლისადმი კეთილგანწყობა და ავსტრიელი დამპყრობლებისადმი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება. ეს მისი წერილის დიდი პლუსია, „ვინ იცის რავდენი მთების, რავდენი მინდვრების, რავდენი მდინარეების და დასასრულ რავდენი ზღვების აქეთ ვიძახი მე ამას და შევძახი ღმერთს ამასა გულმტკივნეული: ღმერთო! იტალია გაანთავისუფლე!" ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, ადვილი გასაგებია და მასში უპირატესად ქართული რეალობის ანარეკლი უნდა დავინახოთ, იტალიელებსა და ავსტრიის დაპირისპირებაში ის საქართველო-რუსეთის ბრძოლის ანალოგიას ხედავდა. სწორედ ეს ანიჭებს ალ. ორბელიანის პატარა წერილს პოლიტიკურ დატვირთვას, მნიშვნელობას. ეს მისი კიდევ ერთი ღირსებაა.

თავისი წერილის დასაწყისში ალ. ორბელიანი ეხება ფრიად საინტერესო და აქტუალურ თემას ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანი ამ საკითხში ჩახედული ჩანს და ქართულ საზოგადოებას საგულისხმო ინფორმაციას აწვდის, რომელიც მას აღნიშნულ თემაზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა, რაც იმდროიდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი

იყო. ამავე დროს ალ. ორბელიანის მსჯელობის შემდგომი დახვენა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას, „გაზეთებში ჩანს, მცირის სარდინიის აღჭურვა, სამშობლოს იტალიისათვის, რომელმაცა ამისთვის შეირყა სიმხნე პატიოსანმა ფრანციამ და მიმართა მხედრობითა თვისითა, ავსტრიის სამხედროსა, ვისაცა ჰყავს იტალია ბორკილს ქვეშ დაპყრობილი. ეს ამხედრება არის ჭეშმარიტი, სამართლიანი ავსტრიაზედ. მიმართეს ორთა მოკავშირეთა: ფრანკო სარდინიამ, იმ ავსტრიელმა. ამ შეჯახებულ მოპირდაპირეთ უყურებს, იდაყვზე დაბჯენილი, ზღვისპირს გამჯდარი. ანგლია – „თუ ვითარ იქნება ბრძოლა იმათი?" – იტყვის იგი. – „უკეთგამოხსნისა იტალიისა, მიხარის და ღმერთს ევედრო მისთვის, რადგან თავისუფლება, ოჰ, რა კარგია! უკეთუ დასაპყრობელად ფრანციისაგან, ვაი საცოდავო ევროპელთა სისხლო; უნდა მივესივნოთ ერთმანეთსა, უნდა შევიჭიდნეთ, შუაზე განხეთქილნი ევროპა და ვწყვიტოთ ერთმანეთი გაუკითხავად... ამ საშინელებისაგან ღმერთო დაგვიფარე! ამით დაასრულა ანგლიამ" [1]

ინგლისის პოლიტიკისადმი რეალისტური დამოკიდებულება, ალ. ორბელიანის მსჯელობის ძლიერ მხარედ მიგვაჩნია, ინგლისის ორჭოფობა უმთავრესად იმით იყო განპირობებული, რომ მას არ სურდა დაეშვა საფრანგეთის გაძლიერება [5].

ალ. ორბელიანის წერილში ცენტრალური ადგილი უჭირავს საფრანგეთის დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. თემა არის მეტად საინტერესო და აქტუალური და მისი წინ წამოწევა სავსებით გამართლებულია, ამგვარ მიდგომაში გასაკვირი არაფერია და ძირითადად, იმით იყო განპირობებული, რომ ალ. ორბელიანი ნატრობდა საქართველოსაც გამოსჩენოდა ასეთი მეგობარი და მფარველი. უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანის მსჯელობა, უეჭველად, შეიცავს შეჭმარიტების რაციონალური მარცვალს და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

„შენ დიდო ღმერთო! გული მეფეთა ხელთა შინა ღვთისათა არს. შენ მიეც, იმ დიდს იმპერატორს ფრანცუზებისას (იგულისხმება ნაპოლეონ III – მ. კ.) ის შენი ღვთიური გული! იტა-

ლია გამოიხსნას და მისცეს საკუთარი თავისუფლება, რომ ის იმპერატორი ნაწილებაც გაგვეყოს ყველას, და თაყვანისსაცემ-ლად გვქონდეს იმისი განწირული ნაწილები ხმელეთისა ერთა. მაშინ ფრანცია და იმისი ძენი ამაღლდებიან, ხარისხისა მაღ-ალსა სვეტსა და იტყვიან ქვეყნის დასრულებაზე ესრეთ. დიდი ხარ იმპერატორი ლუდოვიკ! – და დიდ არიან შენი ფრანციელნი ერი!– განთავისუფლებისათვის იტალიისა.

დამონებული იტალიელები უსამართლო ავსტრიელები-საგან, ვინძლო, ასე რიგად გამოიდოთ და გამოიჩინოთ თავი თქვენის სამშობლოს იტალიის გამოსახსნელად, რომ ყველას მოაწონოთ თავი, ამასთან ღმერთი მადრიელი ამყოფოთ, და ფრანციელნი იმათის სახელმწიფოთურთ დიდად მადლობელი ჰყოთ თქვენის მამულის ჭეშმარიტი სამსახურისათვის". [1]

ალ. ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთის და სახელდობრ იმპერატორ ნაპოლეონ III-ის დახმარების მნიშ-ვნელობას იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მარ-თლაც საფრანგეთმა და იმპერატორ ნაპოლეონ III, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იტალიის გათავისუფლების საქმეში დადებითი როლი შეასრულეს, მძლავრი სტიმული მისცეს იტა-ლიელთა პატრიოტურ აღტკინებას, ხელი შეუწყვეს ავსტრიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას. ამის უგულებელყოფა არ შეიძლება და ეს ალ. ორბელიანის შეხედულების პოზიტიურ მარცვალს ნარმოადგენს. ამ პოლიტიკის პიკი იყო 1858 წლის 21 ივლისს პლომბიერის შეთანხმება საფრანგეთსა და სარდინი-ის სამეფოს შორის, რომლის თანახმადაც ისინი ერთობლივი ძალებით განდევნიდენ ავსტრიელებს იტალიიდან. სარდინიის სამეფოს შეუერთდებოდა ლომბარდია, ვენეცია და სხვა ტერი-ტორიები, კომპენსაციის სახით საფრანგეთი მიიღებდა ნიცას და სავოიას. 1859 წლის აპრილში დაიწყო ავსტრია-იტალია-საფრანგეთის ომი, საფრანგეთის და სარდინიის სამეფოს ჯარ-ებმა 1859 წლის ივნისში მაჯენტასთან და სოლფერინოსთან ბრძოლებში სასტიკად დაამარცხეს ავსტრიელები და თითქმის მთელი ლომბარდია გაათავისუფლეს. 1860 წლის 11 ივლისს სა-ფრანგეთმა იტალიის ზურგს უკან ხელი მოანერა ავსტრიასთან

ვილაფრანკის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, დამარცხებულ ავსტრიამ შეინარჩუნა ვენეციის ოლქი. საფრანგეთის ამ ნაბიჯმა იტალიელების უკმაყოფილება გამოიწვია და შელახა საფრანგეთის და ნაპოლეონ III-ის ავტორიტეტი, ავსტრიის გავლენა იტალიაში ისევ ძლიერი იყო. [6]

შესაძლოა, ალ. ორბელიანი საფრანგეთის და ნაპოლეონ III-ის პოლიტიკას იტალიაში ცოტა შელამაზებულად, ვარდისფერებში ჭვრეტდა, [7: 8] რაც ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ საფრანგეთის პოლიტიკამ იტალიაში მკვეთრი სახეცვლილება განიცადა მისი წერილის (1859 წლის 18 მაისი) დანერის შემდეგ. საფრანგეთისა და ნაპოლეონ III-ის პოლიტიკისადმი ალ. ორბელიანის ამდაგვარი დამოკიდებულებაშიც მისი პროფრანგული და პრობონაპარტისტული განწყობილების ანარეკლი შეიძლება დავინახოთ. ამავე დროს ის ოცნებობდა, რომ საქართველოსაც გამოჩენოდა ამგვარი ქომაგი.

„შეხედეთ იტალიანელებო, ვინ მიგიძღვით თქვენ?- ღვთისაგან მოვლენილი თქვენთვის, დიდი კაცის ძმისწული იმპერატორ ლუი და მასთა საფრანგეთის დიდი მხედრობა! – და ამისთვის რა გვმართებსო თქვენ? – ემსახურენით იტალიანელებო, თქვენს მამულს მსხვეპლად, რომ მოწამეთა თანა შეირაცხენით და საუკუნოდ იხსენიებდეს სახელი თქვენი დიდებისა მთელს ქვეყანაზედ!" ლუი ნაპოლეონ III-ის მოღვაწეობის მაღალი შეფასება საყურადღებოა და მასში ნაპოლეონ პირველისადმი ალ. ორბელიანის კეთილგანწყობილების არაპირდაპირი გამოვლინება მოჩანს.

ალბათ, უპრიანი იქნებოდა ორიოდე სიტყვა თქმულიყო იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მეფის რუსეთის დამოკიდებულებაზე. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა მის პატარა და საინტერესო წერილს. ეს ფრიად აქტუალური თემაა და მის წამოწევას წმინდა შემეცნებით დატვირთვასთან ერთად, ძლიერი პოლიტიკური მუხტი ექნებოდა. რუსეთი ძალიან წინააღმდეგობრივ პოლიტიკას ატარებდა. თავდაპირველად ის მხარს უჭერდა ავსტრიის დამარცხებას და სურდა იმპერატორ ფრანც-იოსების დამცირება.

ამავე დროს ცარიზმს სერიოზულად აფიქრებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღის აზვირთება იტალიაში. ალ. ორბელიანს შეეძლო ხაზი გაესვა რუსეთის ორმაგი პოლიტიკისათვის და ემხილებინა მისი კურსის არათანმიმდევრულობა, მაგრამ ის რატომღაც ასე არ მოიქცა და ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე მინუსად მიგვაჩნია. [5]

ისტორიკოსები პირობით ორ პერიოდად ყოფენ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას, თავდაპირველად, 50-იან წლებში მას სათავეში ჩაუდგნენ ლიბერალური წრეები. მათი თავკაცი იყო სარდინიის მეფე ვიტორიო ემანუელი და მისი მინისტრი კამილო ბენზო კავური – მეორე პერიოდი, 60-იან წლები, როდესაც იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მკვეთრად გამოკვეთილად დემოკრატიული ხასიათი მიიღო და მას სათავეში ჯუზეპე გარიბალდი ჩაუდგა. [9, 10]

ვფიქრობთ, ალ. ორბელიანს ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის ისტორიული მნიშვნელობა, როდესაც იტალიის განთავისუფლება მიმდინარეობდა ზემოდან ლიბერალური წრეების ძალისხმევით, სარდინიის სამეფოს მეთაურობით. „მაგალითი თქვენი. თქვენი კაროლი ევმანიულ! უბედურის შვილის ალბერტისა, რომელმაცა შემოგწირავთ თავი. ბოლოს გადავარდნილი ისპანიაში, იქ იმ უცხო ქვეყანაში მოკვდა მწუხარებით, თქვენის უბედურებისათვის იტალიანელებო და წმინდა მოწამეთათანა აღირიცხა ისიც. ნურაფერზე ნუ მოიწყენთ იტალიანელებო, იმ მოწამის ალბერტის ჩრდილი მიგიძღვისო წინ თქვენს მხედრობას და მისი წამებული მოწამეობა მოგცემთ უთუოდ გამარჯვებას, ხოლო თქვენი ძლიერის თავგამოდებით". [1]

ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ალ. ორბელიანი თითქოს აკნინებდა საკუთარი სამშობლოს გათავისუფლების საქმეში თავად იტალიელების წვლილს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ალ. ორბელიანის ეს მსჯელობა, ვფიქრობთ, ამის ნათელ

ილუსტრაციას ნარმოადგენს. ალ. ორბელიანის სიტყვები სარდინიის სამეფო და მისი მეფეების კარლ ალბერტის (1831-1849) და ვიტორიო-ემანუელის (1849-1878) აპოთეოზად ეღერს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ალ. ორბელიანი ხაზს უსვამს სარდინიის სამეფოს როლს იტალიის გათავისუფლების საქმეში. ეს არის სწორი მიდგომა. ამდაგვარი პოზიცია საინტერესოა და, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს, უმთავრესად ევროპულ რეალიებზე ორიენტირებული, საინტერესრა აღინიშნოს, რომ იტალიური ისტორიოგრაფია, ბენედეტო კროჩეს თავკაცობით, განადიდებს და ხოტბას ასხამს იტალიის ზემოდან გაერთიანებას და მის ინიაციატორებს სარდინიის სამეფოს და მინისტრ კავურს. შესაძლოა, ალ. ორბელიანის წერილში იგრძნობა იტალიის გათავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფოს და მისი მეფეების კარლ-ალბერტის და ვიტორიო-ემანუელის როლის რომანტიკული გაიდიალება, რაც, სხვათა შორის, არც ევროპული ისტორიოგრაფიისთვის არის მთლადუცხო. იტალიის გათავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფო როლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მათი დამსახურების გაფეტიშება ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ამდაგვარ მიდგომაში ალოგიკური არაფერია და მასში კონსტიტუციური მონარქიისადმი ალ. ორბელიანის კეთილგანწყობილების ანარეკლი მოსჩანს, გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ალ. ორბელიანის ერთიანი იტალიის მოწყობის საუკეთესო ვარიანტად კონსტიტუციური-მონარქია შეიძლებოდა ესახებოდა.

იტალიის განთავისუფლების საქმეში სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრის კავურიის ნვლილისადმი გვერდის ავლა ალ. ორბელიანის საინტერესო და შინაარსიანი წერილის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. ალ. ორბელიანის შეხედულებებიდან გამომდინარე გამორიცხული არაა, რომ იგი კავურის ღვაწლს ამ საქმეში დადებითად შეაფასებდა. ამიტომ გასაკვირი უნდა იყოს თავის წერილში რატომ არსად არ ძრავს კრინტს კავურის როლზე, რომელსაც იტალიური ისტორიოგრაფია, ბენედეტო კროჩეს მეთაურობით, უსაზღვროდ განადიდებს და ხოტ-

ბას ასხამს; რით იყო გამოწვეული ალ. ორბელიანის ეს ნაბიჯი ძნელი სათქმელია. კავურიის წელილის მოკლედ აღნიშვნა შინაარსობრივად, კიდევ უფრო გაამდიდრებდა ალ. ორბელიანის წერილს და ქართულ საზოგადოებას აღნიშნული საკითხის გაცილებით ადეკვატურ სურათს დაუხატავდა [11, 2].

ალ. ორბელიანის წერილში ყურადღებას იპყრობს იტალიის განთავისუფლების საქმეში ჯუზეპე მაძინის ღვანლისადმი თავისებური მიდგომა, რაც იმით გამოიხატება, რომ ის მაძინის სახელს არსად არ იხსენებს. სწორი არ იქნებოდა ვიფიქროთ თითქოსდა ის არ იცნობდა ჯუზეპე მაძინის მოღვაწეობას. მაშინ რაშია საქმე? ალ. ორბელიანის დუმილი ფრიად სიმპტომატური ჩანს და ფაქტობრივად მის პოზიციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანის დამოკიდებულება ჯ. მაძინის მოღვაწეობისადმი მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. ეს შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზები პირველ ყოვლისა ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მისთვის მიუღებელია მაძინის ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, მონოდებები ტერორისა და ძალდატანებითი საქმიანობისაკენ. ეს გასაგებიცაა. ამგვარი ქმედება აშკარად ცილდებოდა ალ. ორბელიანის პოლიტიკურ იდეალებს. მის პოზიციას გააჩნია მოქალაქეობის უფლება და კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას.

საინტერესოა ალ. ორბელიანის დამოკიდებულება ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობისადმი, რომელსაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი და პირველ რიგში კი მისი აღიარებული ლიდერი დიდი ილია ჭავჭავაძე, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა. ალ. ორბელიანის წერილში ჯუზეპე გარიბალდის მოღვაწეობა ფაქტობრივად არც კი მოიხსენიება, რაც ნაწილობრივ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გარიბალდის საქმიანობა განსაკუთრებულად ინტენსიურ ხასიათს იღებს 60-იან წლებიდან. ე. ი. მას შემდეგ რაც 1859 წლის მაისში დაიწერა ალ. ორბელიანის ეს პატარა და საინტერესო წერილი. 50-იან წლებში ის შედარებით ჩრდილში იდგა, ხშირად არ იყო იტალიაში. [3] ალბათ, ამიტომ იყო, რომ გარიბალდის

საქმიანობა ვერ მოექცა ალ. ორბელიანის თვალთახედვის არეალში.

ფრიად საინტერესოა ალ. ორბელიანის მიმართვა იტალიელი ხალხისადმი. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია და იტალიელი ხალხის საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ღრმა სიმპათიითა გაჯერებული. „იტალიანელებო! მტრის გულისად არ გახდეთ ბრძოლაში. თქვენ, ზურგი მტერმა არ უნდა ნახოს, რომ თქვენმა ფეხმა უკან არ დაინიოს ერთი მცირედი ვერშოკი. იცოდეთ ან ადგილობრივ დაიმარხნეთ ერთიანად, ან არადა თქვენი მამული გაათავისუფლოთ ავსტრიელებისაგან, რომელმაც აღგზარდათ ძენი იტალიამ და ვეება ვაჟკაცები მიქცათ მამულს. თქვენგან აქვს დიდი იმედი იტალიას და თქვენის შეურყველის ვაჟკაცობით მოელის იტალია, უთუოდ,. თქვენგნით გათავისუფლდეს" [1].

ალ. ორბელიანის წერილის დასასრული მეტად მრავლისმეტყველია და მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი ავტორის მიზნები, მთავარი საზრუნავი. საქართველოს დახსნა რუსეთის ბატონობისაგან. „იმ დაუსაბამოს, იმ დაუსრულებელს მამას! გეევედრები გულგახურებული, რომ რის მდგომარეობაში ანუ რის შემწეობითაც კი ეხლა იტალიელები მიეხწიენით, ჩემი შვილებიც იმ, მდგომარეობაში, იმ შემწეობით მენახოს მიხწევნილი ჩქარა". ეს მსჯელობა მეტად საინტერესოა და შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის მონოდების, – „ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!" – უვერტურად გაიჟღერა.

***

ამრიგად, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში ფართო რეზონანსი ჰქონდა, XIX საუკუნის შუა ხანების მოწინავე ქართული საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალს აპენინების ნახევარკუნძულზე მიმდინარე მოვლენებს, ალ. ორბელიანის პატარა, მაგრამ, საკმაოდ შინაარსიანი წერილი, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

ალ. ორბელიანის ეს წერილი საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დავაზუსტოთ ქართულ სინამდვილეში იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების ათვლის წერტილი. დიდ ხნის მანძილზე ასეთად მიჩნეული იყო ილიას ლექსი „მესმის მესმის" (1860), ახლა გამოჩნდა ალ. ორბელიანის წერილი „სიტყვა იტალიისათვის" (1859) და ამ თარიღმა ერთი წლით გადანია.

ალ. ორბელიანის წერილი „სიტყვა იტალიისათვის" საშუალებას გვაძლებს საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. საქართველოში იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესების, პოპულარიზაციის, მოთავეებად ალექსანდრე ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე გვევლინებიან.

იტალიის ისტორიაზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით არათუ მაშინ, არამედ დღესაც განებივრებული არ ვართ. ალ. ორბელიანის მისწრაფება შეეევსო ეს ხარვეზი, ცხადია, მისასალმებელია, და ძალიან კარგია. ალ. ორბელიანის წერილის „სიტყვა იტალიისათვის" ფასეულობის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი შემეცნებითი დანიშნულება, უნდა ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერურ მისიას ალ. ორბელიანმა ურიგოდ როდი გაართვა თავი. მან ქართველ მკითხველს მიანოდა საინტერესო ინფორმაცია იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. რომელიც აღნიშნულ საკითხზე ქართულ საზოგადოებას ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. ეს იმდროინდელი ქართული სინამდვილის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ალ. ორბელიანის დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მკვეთრად გამოკვეთილად პროგრესული ელფერი დაკრავს, რაც უმთავრესად იმით გამოიხატება, რომ ძირითადად, ევროპულ რეალიებზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასებისას ალ. ორბელიანი პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებზე დგას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება მისი კეთილგანწყობილება იტალიის ზემოდან გაერთიანებისადმი,

სარდინიის სამეფოსადმი, მეფეების კარლ-ალბერტის და ვიტორიო-ემანუელისადმი. გაკვირვებას იწვევს კავურის წელილისადმი გულგრილი დამოკიდებულება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საფრანგეთის პოლიტიკის და ნაპოლეონ III თავისებური აღქმა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას ქართული რეალობა ედო სარჩულად, ის ოცნებობდა, რომ საქართველოსაც გამოსჩენოდა ასეთი ძლიერი ქომაგი და მფარველი. თუ მას საფრანგეთის და ნაპოლეონი III-ის მიმართ რაიმე ილუზია გააჩნდა ამის ნასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ალექსანდრე ორბელიანის მსჯელობაში მცირე კორექტივების შეტანა გამორიცხულად არ მიგვაჩნია, მაგრამ, ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს მისი შეხულებების მნიშვნელობას და მას ღირსებები უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი. ალ. ორბელიანის წერილის „სიტყვა იტალიისათვის" ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობს.

ლიტერატურა:

1. ალ. ორბელიანი, სიტყვა იტალიისათვის – წიგ. ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, თბ., 1999.
2. ალ. ორბელიანი, ნაპოლეონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა – წიგ. ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, თბ., 1999.
3. История XIX века, под ред. Э. Лависс и А. Рамбо, т. 2. М., 1990.
4. А. Сорель, Европа и французская революция, т. 5-8. СПб., 1892-1906.
5. История дипломатии, т 1. М., 1941.
6. А. Дебидур, Дипломатическая история Европы, часть 2. Р/д. 1995.
7. История Франции, т. 1 М., 1972. История Италии, т. 2. М. 1970. А. Желубоская, Крушение второй империи и возникновение третьей республики во Франции, М., 1956. A. Dansette, Histoire du Second empire, t. 1. Paris. 1961. Т. Делор, История второй империи во Франции, т. 1-2. СПб., 1870.
8. Э. Тарле, История Италии в новое время, СПб., 1901.

9. Объединение Италии, М., 1963.
10. Дж. Канделоро, История современной Италии, М., т. 5, 1971.
11. В. Невлер, Демократические силы в борьбе за объединение Италии (1831-1860), М., 1982.
12. С. Сказкин, Кавур и воссоединие Италии - Историк-марксист, № 5-6. 1935.
13. В. Невлер, Джузеппе Гарибальди, М., 1961.

თავი III

ალექსანდრე ორბელიანი დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის საკითხებზე

1. შესავალი

ალბათ, არაფერს არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ალექსანდრე ორბელიანის სახით საქმე გვაქვს ფართო დიაპაზონის ისტორიკოსთან. ის ძალიან კარგად იცნობდა არა მარტო საქართველოს წარსულს, არამედ ასევე ჩახედული ჩანს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი ნვლილის ღირსეულად წარმოჩენისათვის, ალბათ, ეს საესებით საკმარისი იქნებოდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანის დამსახურება გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ იმას, რომ ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით არ ამოიწურებოდა. მის ნაწერებში ყურადღებას იპყრობს ევროპელი ისტორიკოსების, სახელდობრ, ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ გიბონის (1737-1794) და მისი თანამემამულის ტომას ბაბინგტონ მაკოლის (1800-1859) მოხსენიება. ვფიქრობთ, ეს არ იყო შემთხვევითი და იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ალექსანდრე ორბელიანი დაინტერესებას იჩენდა დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი. აქ ფაქტობრივად ის ახალ ამპლუაში წარმოგვიდგება და ცდილობს გაერკვეს ევროპულ ისტორიულ აზროვნებაში, გაეცნოს მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ამას იმ დროისათვის დიდი მეცნიერული და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება.

ისტორიოგრაფიის საკითხებზე ყურადღების გამახვილება საინტერესოა და იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ალექსანდრე ორბელიანის ჩახედულობა დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებში ზედაპირულ ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ საუკეთესო უახლეს გამოკვლევებს ეყრდნობოდა. ამას

დიდი მნიშვნელობა აქვს; ალ. ორბელიანის მსჯლობის ძლიერი ანალიტიკური მუხტის გასაღები, ჩვენი აზრით, სწორედ აქ ძევს. ჩვენს ხელთ არსებულ მცირე ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალ. ორბელიანმა კარგად იცოდა მისი თანადროული ევროპული ისტორიოგრაფია. ეს, რა თქმა უნდა, ალ. ორბელიანის როგორც ისტორიკოსი-პუბლიცისტის კიდევ ერთი ღირსებაა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო პოლემისტური წერილი „პლატონ იოსელიანსა", სადაც ის იმოწმებს ედუარდ გიბონის ნაშრომს [1.86] და მეორე წერილი „ქართველების ძველი დრო", რომელიც დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში" და აქ ის მოიხსენიებს მაკოლის ნაშრომს [2.214].

ეს მნირი ინფორმაცია, ჩვენი აზრით, საინტერესოა და მისი წაყრუება, უგულვებელყოფა, ცხადია, სწორი არ უნდა იყოს. აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო დასავლეთ ევროპის ისტორიის საკითხებით ალ. ორბელიანის დაინტერესების წრე. ის კარგად იცნობდა არა მარტო მსოფლიო ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, არამედ იმ პერიოდის ევროპულ ისტორიოგრაფიას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ალექსანდრე ორბელიანი, არ იყო ვიწრო ემპირიკოსი ისტორიკოსი და თეორიული საკითხების მიმართ გარკვეულ დაინტერესებას ამჟღავნდებდა. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ სინამდვილეში აღნიშნული თემატიკით დაინტერესების პირველი თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენდა. ქართული ისტორიოგრაფია არათუ მაშინ, არამედ დღესაც არ არის განებივრებული ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ედ. გიბონზე ქართულ ენაზე დღემდე არაფერი არ გაგვაჩნია.

2. ალ. ორბელიანი ედუარდ გიბონზე.

ისეთ კოლორიტულ ფიგურაზე და თვალსაჩინო ისტორიკოსზე ყურადღების გამახვილება, როგორც ედუარდ გიბონი იყო, საკმაოდ მრავალისმეტყველი ფაქტია და უნინარესად ხაზს უსვამს ალ. ორბელიანის ფართო განათლებას, დიდ ერუდიციას.

ცხადია, ედ. გიბონისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულებაზე მეტად მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, მაგრამ ეს მასალა თავისთავად საინტერესოა და როგორც ჩანს ალექსანდრე ორბელიანი იცნობდა ედ. გიბონის ნაშრომს და მასზე დადებითი აზრის გახლდათ.

„პლატონი (იგულისხმება იოსელიანი – მ.კ.) თუ ნამდვილი და სამართლიანი მწერალია, იმას უნდა საქართველოს გაოხრების ამბავი დაეწერა, როგორც გიბონმა რომის გაოხრება აღწერა, თუ არადა ჩემი მასიამოვნებელი ვასიამოვნო და სხვა სიმართლეს ჯანი წაუვიდესო. რასაკვირველია, საქმით ვიცით, რომ დღევანდელი მზათ კვერცხი ურჩევნია პლატონს, ხვალინდელს და კარგს მსუქან ქათამს“ [1.86]. აქ ცხადია, ის გულისხმობს ედ. გიბონის წიგნს „რომის იმპერიის დაცემის მიზეზები“ [3].

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე ორბელიანის არჩევანი და იგი მის მაღალ ინტელექტუალურ და მეცნიერულ დონეზე მეტყველებს. საქმე ის გახლავთ, რომ ედ. გიბონმა დიდი გავლენა მოახდინა XIX-XX საუკუნეების მოაზროვნეებზე. ეს არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინტელექტუალური ელიტით და პოლიტიკურ წრეებზეც ერცელდებოდა. მან თავისი კვალი დატოვა ჯორჯ ბაირონის, პერსი ბიში შელის, არნოლდ ტოინბის, ალბერ კამიუ ლინკოლნის, სერ უინსტონ ჩერჩილის პიროვნების ფორმირებაზე [4.179].

ალექსანდრე ორბელიანს ედ. გიბონი, ცხადია, შემთხვევით არ უსსენებია და სავსებით მეცნიერულ პარალელს ავლებს. პლატონ იოსელიანს უნდა აღეწერა საქართველოს გაოხრების ამბავი, ხოლო ედ. გიბონმა აღწერა რომის იმპერიის აოხრების ისტორია. ხაზი გაუსვა, რომ მათ ჰქონდათ ერთი და იგივე ამოცანა, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანის ღრმა რწმენით, ედ.

გიბონმა ამ მისიას წარმატებით გაართვა თავი, ხოლო პლატონ იოსელიანმა კი ეს ვერ შეძლო.

ალ. ორბელიანი მიმართავს საინტერესო ხერხს და თავის მსჯელობას კონტრასტზე აგებს. ეს იმით გამოიხატება, რომ ის ედ. გიბონის მიმართ აშკარად კეთილგანწყობილი ჩანს და მასში ხედავს „ნამდვილი სამართლიანი მწერლის", ისტორიკოსის, ნიმუშს, ხოლო პლატონ იოსელიანს კი პირიქით ტენდენციურობასა და სუბიექტურობაში დებს ბრალს. ასეთ მიდგომაში ალოგიკური არაფერია. მას სურს მკითხველს პოზიტიური გამოცდილება აჩვენოს და ამის საილუსტრაციოდ, სწორედ, ედ. გიბონის მაგალითი მოჰყავს. ალ. ორბელიანის არგუმენტაცია, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს. ალექსანდრე ორბელიანი სავსებით მართალი იყო. ედ. გიბონის თხზულება „რომის იმპერიის დაცემის მიზეზები" იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში და შემდეგაც დიდი ხნის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ალ. ორბელიანის მიერ ედ. გიბონის ამ წიგნის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერია.

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ალ. ორბელიანი ედ. გიბონს აღიქვამს როგორც მწერალს. ასეთი მინიშნება ჩვენს მიერ მოყვანილ პასაჟში შეინიშნება [1.86]. ამგვარ მიდგომას აქვს არსებობის უფლება და, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. მას მაშინაც და დღესაც ბევრი მომხრეები ჰყავდა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ასეთი თვალსაზრისი იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ალ. ორბელიანი, შესაძლოა, ისტორიას აღიქვამდა, როგორც სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთ ნაირსახეობას. ასეთი შეხედულება მაშინ და შემდგომშიც ძალიან გავრცელებული იყო. ეს არის ერთი ხედვა. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. უწინარესად ედ. გიბონი იყო თავისი დროის თვალსაჩინო ისტორიკოსი, რომელიც ფლობდა წერის ბრწყინვალე ლიტერატურულ მანერას, სტილს [4].

შესაძლოა, ალექსანდრე ორბელიანი აიდიალებდა ედ. გიბონს, როგორც მწერალ-ისტორიკოსს, მაგრამ ედ. გიბონის წიგნის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და

ედ. გიბონისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულების პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს ალ. ორბელიანის მოსაზრების ისტორიოგრაფიულ დატვირთვას. ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა მისი მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობა.

3. ალ.ორბელიანი ტომას ბაბინგტონ მაკოლიზე.

ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულება XIX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო ინგლისელი ისტორიკოსის ტომას ბაბინგტონ მაკოლისადმი, რომელსაც მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ მეტად მკაცრი გნაჩენი გამოუტანა და ჰიპერკრიტიკულად შეაფასა. კ. მარქსმა მაკოლის უნოდა „ისტორიის სისტემატური ფალსიფიკატორი" [5.900]. სულ სხვაგვარია ისტორიული მეცნიერების წინაშე მაკოლის დამსახურებისადმი ალექსანდრე ორბელიანის მიდგომა. ის მაკოლიზე, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსზე, დადებითი აზრის უნდა ჩანდეს. ცხადია, ეს გაცილებით უფრო ადეკვატურია.

მაკოლისადმი ალექსანდრე ორბელიანის დამოკიდებულებაზე ძალიან მნირი ინფორმაცია გაგვაჩნია, მაგრამ ეს მცირე მასალა თავისთავად იპყრობს ყურადღებას და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მაკოლისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულებაზე. ეს საშუალებას გვძლევს, ვარაუდის დონეზე, საინტერესო დასკვნები გამოვიტანოთ.

თავის სტატიაში „ქართველების ძველი დრო" ალექსანდრე ორბელიანი ახსენებს ინგლისელ ისტორიკოსს ტომას ბაბინგტონ მაკოლის. „მაკოლეის ისტორიას ანბობს რა ანბავი ყოფილა ანგლიაში კაროლი იაკობ II დროს" [2.214]. აქ, ცხადია, მას მხედველობაში აქვს მაკოლის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი „ინგლისის ისტორია ჯეიმზ II-ის გამეფებიდან" [6].

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ არა იაკობ II, როგორც ამას ალ. ორბელიანი წერს, რაც რუსულის გავლენის ლოგიკურ შედეგია, არამედ ჯეიმზ II, რომელიც მეფობდა 1685-1688 წლებში.

მაკოლის გახსენება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და იგი საქართველოს ისტორიასთან, სახელდობრ კი მეფე ერეკლეს მოღვაწეობასთან, გახლავთ დაკავშირებული. „გამიგონია მეფის ირაკლის დროს, რაღაც უწესობა მოეხდინოთ ზოგიერთპირთ საქართველოში და მეფეს არაფრათ მიელოს...“ [2.214]. აქ, ალ. ორბელიანი, წამოჭრის ერთ ფრიად აქტუალურ საკითხს. რამდენად არის მთავრობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეფე, სახელმწიფოში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელი და ამის საილუსტრაციოდ ისტორიიდან მოჰყავს არგუმენტები. ის ახსენებს სტიუარტების ეპოქის ინგლისს, კერძოდ კი ჯეიმზ II-ის მმართველობას. ამგვარი მიდგომა სავსებით სწორია, თუმცა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვენა, გამორიცხულად არ მიგვაჩნია. სტიუარტების რესტავრაციის ხანისა და ერეკლე II-ის მმართველობას შორის დიდი განსხვავება არსებობს, მაგრამ პოლიტიკური არასტაბილურობის რაღაც სიმპტომები შეინიშნებოდა და ეტყობა, სწორედ, ეს აღმოჩნდა ალ. ორბელიანის ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ეს პოლიტიკური არასტაბილურობაც სხვადასხვაგვარი იყო. პირველ რიგში, ინგლისს არავითარი საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. [7]. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელს ამ ისტორიულ ექსკურსს საფუძვლად უდევს მეფე ერეკლე II-ის განდიდება. ეს კი მისი შვილიშვილისაგან გასაკვირი არ უნდა იყოს.

ალექსანდრე ორბელიანი მაკოლის როგორც ისტორიკოსისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი უნდა იყოს და მის წიგნზე „ინგლისის ისტორია ჯეიმზ II-ის გამეფებიდან“ დადებითი აზრის გახლავთ. ეტყობა, ის ამ საკითხზე მაკოლის თხზულებას ერთ-ერთ ყველაზე უფრო კომპეტენტურ ნაშრომად აღიქვამდა და, სწორედ ამიტომ ეყრდნობოდა მას. ამგვარი მიდგომა სავსებით სწორია და თავისთავად საგულისხმო ჩანს. ის საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ერთი საინტერესო მოსაზრება, ვარაუდი. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ მაკოლის წიგნის წყალობით სტიუარტების რესტავრაციის ხანის ინგლისის ისტორიაზე ალექსანდრე ორბელიანს საკმაოდ მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია ექნებოდა და ამ ეპოქის

შესახებ უხვი ფაქტობრივი მასალა ეცოდინებოდა. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ საკითხში ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ კარგად უნდა იყოს ჩახედული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით, მისი წერილიდან, შეიძლება ჩანდეს. მან კარგად იცოდა სტიუარტთა რესტავრაციის ეპოქის ინგლისის ისტორია, კერძოდ კი ჯეიმს II-ის (1685-1688) მმართველობის პერიოდი. ეს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში ალექსანდრე ორბელიანის ჩახედულების კიდევ ერთი საინტერესო საბუთია.

საფიქრებელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი არ თანაუგრძნობდა სტიუარტთა პოლიტიკას, რაც აღნიშნული საკითხისადმი მისი დამოკიდებულების პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. ასეთი ხედვა, ცხადია, შემთვევითი არ ყოფილა და მისი გასაღები ალ. ორბელიანის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. ალექსანდრე ორბელიანი უმთავრესად ლიბერალურ ღირსებულებებზე იყო ორიენტირებული. სტიუარტთა პოლიტიკა აშკარად არ შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ მრწამსს, იდეალს. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს მაკოლის კეთილისმყოფელი გავლენა. მაკოლი სტიუარტთა რესტავრაციას აღიქვამდა როგორც „ჭეშმარიტ ტირანიას, რომელსაც ახორციელებდნენ ისინი, რომლებმაც არ იცოდნენ თავისუფლების დაფასება".

მაკოლისადმი ალ. ორბელიანის კეთილგანწყობას კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა, რომლის გვერდის ავლა ამ თემაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი შეგვიქმნის. ეს არის ინგლისელი ისტორიკოსის ზომიერება, მისწრაფება პოლიტიკური პრობლემების კომპრომისული გადაწყვეტისაკენ. „ჩვენ არ ვიცით არც ერთი დიდი რევოლუცია, რომლის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა გულითადი შეთანხმების გზით" – დასძენს მაკოლი.

აზრთა დიდ სხადასხვაობას იწვევდა და დღესაც იწვევს მაკოლის შემოქმედებითი ამპლუა – მწერალი იყო ის, თუ ისტორიკოსი. არაერთი სერიოზული მეცნიერი (მაგალითად, რუსი ისტორიკოსი მ. პეტროვი) მაკოლის აღიქვამდა ლიტერატორად.

იქნებ ასე ფიქრობდა ალ. ორბელიანიც? ზუსტად ამის თქმა ჭირს და ამაზე მინიშნება მის ნაწერში არ გვხვდება. ამიტომ ეს კითხვა მხოლოდ ვარაუდად რჩება. ასეთი შეხედულება საკამათო შეიძლება იყოს, მაგრამ გააჩნია არსებობის უფლება.

საეჭვოა, რომ ალექსანდრე ორბელიანი ჩახედული იქნებოდა ფრანგულ და გერმანულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, მოსაძიებელია, ანდაც ადვილი შესაძლებელია, ჟამთა სიავის გამო, ის დაიკარგა კიდეც.

4. ალექსანდრე ორბელიანი ისტორიკოსის მოვალეობაზე.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ შეეეხოთ ალ. ორბელიანის დამოკიდებულებას ისტორიკოსის პროფესიისადმი, პირველ რიგში კი ისტორიკოსის მოვალეობისადმი. თემა არის საინტერესო და აქტუალური და დღესაც არ დაუკარგავს მას თავისი მნიშვნელობა. ამ რთული და აქტუალური საკითხის დასმა, წინ წამოწევა, ალ. ორბელიანის დამსახურებას წარმოადგენს და მისი ისტორიული შეხედულების პოზიტიურ მხარედ გვევლინება. აქედან კარგად ჩანს, რომ ის არასოდეს არ ყოფილა იოლი გზით სიარულის მოტრფიალე პუბლიცისტი და როგორც ისტორიკოსი სირთულეებს არ გაურბოდა. ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ ფრიმენის თქმით „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია" [8 52]. ალ. ორბელიანის ასეთი მეტამორფოზი, ცხადია, საინტერესოა და ის, როგორც ისტორიკოსი ნებსით, თუ უნებლიეთ ახალ ამპლუაში გვევლინება. ის ყურადღებას მიაპყრობს ისტორიის თეორიულ საკითხებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია და მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის კიდევ ერთი გამოვლინება გახლავთ.

ეს საკითხი არაახალია და ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აინტერესებდათ. აი რას წერს ანტიკურ ეპოქაში მოღვაწე ლუკი-

ანე სამოსატელი თავის ტრაქტატში „როგორ უნდა დაიწეროს ისტორია". „ისტორიკოსი უნდა იყოს მამაცი, მოუსყიდველი, დამოუკიდებელი, თავისუფალი სიტყვისა და ჭეშმარიტების მეგობარი... რომელიც ანგარიშს არ უწევს არც მეგობრებს და არც მტრებს, დაუნდობელი და სასტიკი, უშიშარი, სამართლიანი მსაჯული და კეთილმოსურნე იმდენად, რომ არავის არ აძლევს იმაზე მეტს, რასაც ის იმსახურებს" [9.419]. საუკუნეების მანძილზე ისტორიკოსის იდეალი დიდად არ შეცვლილა. ცნობილი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი დევიდ იუმი დასძენდა „ისტორიკოსის უპირველესი თვისებაა იყოს მიუკერძოებელი".

ამ საკითხისადმი ალექსანდრე ორბელიანის მიდგომა არაახალია და იმ ფარგი ტრადიციის ღირსეულ გაგრძელებად გვეელინება, რომელიც არსებობს ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო პოლემისტური სტატია „პლატონ იოსელიანსა". აქ ის, უპირველეს ყოვლისა, წარმოგვიდგება, როგორც ბრწყინვალე პოლემისტი და ისტორიული ჭეშმარიტების თავგამოდებული დამცველი.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ალექსანდრე ორბელიანის მეცნიერული კრედო, პრინციპები, სწორედ, პლატონ იოსელიანთან პოლემიკის დროს გამოიკვეთა. ალ. ორბელიანის ღრმა რწმენით, ისტორია, პირველ რიგში პირუთვნელად, მიუკერძოებლად, შეუღალავ ბლად უნდა იწერებოდეს. მეცნიერი ისტორიკოსი მას წარმოუდგენია, როგორც მეტად ფრთხილი და წინდახედული პიროვნება, რომელმაც ყველაფერი კარგად უნდა მოიხრიკოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აჰყვეს ემოციებს „ცრუ ჭორებს". ისტორიული ფაქტების საგანგებოდ შეცვლა, გადასხვაფერება, ისტორიკოსისათვის არაა კარგი საქციელი და დიდი ცოდვაა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ალექსანდრე ორბელიანი სამართლიანად განურისხებია პლატონ იოსელიანის მიერ ბაბუა-ბებიის, მეფე ერეკლესა და დედოფალ დარეჯანის ღვაწლის დაკნინებას.

ისტორიკოსის მოვალეობისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულება საინტერესოა და ის ამ სფეროში დიდი ილია

ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთ ღირსეულ წინამორბედად გვევლინება. ის ცდილობდა არასოდეს არ ეღალატა ამ პრინციპებისათვის და სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი დამსახურება.

ალ. ორბელიანი სავსებით მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ ისტორიკოსს არ აქვს უფლება ისტორიული ფაქტები გააყალბოს. ფაქტებზე ძალადობა წარმოუდგენელია. შეიძლება ფაქტებს სხვადასხვა ინტერპრეტაცია მივცეთ, მაგრამ წარსული არ უნდა დავამახინჯოთ. სწორედ ამაში მდგომარეობს ალ. ორბელიანის ამ მსჯელობის მნიშვნელობა, მისი ისტორიოგრაფიული დატვირთვა.

5. დასკვნა

ალექსანდრე ორბელიანის მიერ ორ დიდი ისტორიკოსზე ედუარდ გიბონზე და ტომას ბებინგტონ მაკოლიზე აქცენტირება ფრიად სიმპტომატიური უნდა იყოს, საინტერესოა და ფაქტობრივად, ქართულ სინამდვილეში დასავლეთ ევროპის ისტორიის ისტორიოგრაფიის პოპულარიზაციის პირველი თუ არა, ერთ-ერთ პირველ სიმპტომს წარმოადგენს, რომელიც პირობით ამ პრობლემის დაინტერესების ათვლის წერტილად გვევლინება. ამიტომ, ჩვენი აზრით, მთელი ეს ისტორიული მონაკვეთი, XIX საუკუნის შუა ხანებიდან 1921 წლამდე, პირობით საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიით დაინტერესების წინა ისტორიად, შესაფერად, შეიძლება მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ თარგმნილ ლიტერატურას, რომელსაც ძირითადად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აქვეყნებდა. ქართველი მკითხველი ასე ეცნობოდა ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებს, მის საუკეთესო წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მეტად მცირეა და გაცილებით ბევრის გაკეთება იყო საჭირო. ამას ძირითადად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა.

ალ. ორბელიანმა არა მარტო კარგად იცოდა დასავლეთ ევროპის ისტორიის საკვანძო პრობლემები, არამედ დაინტერესე-

ბას ამჟღავნდებდა დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიისადმი. ედ. გიბონის და ტ. მაკოლის შრომებზე აპელირება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ევროპული ისტორიოგრაფიის საკითხებში ალ. ორბელიანის ჩახედულებაზე მიგვანიშნებს. ეს, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ღრმა ერუდიციას, დიდ განათლებას.

აქედან კარგად ჩანს, რომ მსოფლიო ისტორიის რთული საკითხების განხილვის დროს ალექსანდრე ორბელიანი უმთავრესად ეყრდნობოდა ამ თემაზე იმ დროს არსებულ საუკეთესო გამოკვლევებს, თვალყურს ადევნებდა ევროპულ ისტორიოგრაფიაში მიმდინარე მოვლენებს. ამას ძალიან დიდი მეცნიერული და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და ქართველ მკითხველს უადვილებდა სწორი გზის არჩევას. ალ. ორბელიანის დამსახურებაც, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

რა თქმა უნდა, ალ. ორბელიანი გაცილებით უფრო კარგად იცნობდა ედ. გიბონის და ტ. მაკოლის შემოქმედებას, ვიდრე ეს ამ ერთი პასაჟიდან შეიძლება ჩანდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მხოლოდ მცირე ანარეკლია იმ ცოდნისა, რომელიც მას ამ თემაზე გააჩნდა.

უდაოდ გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრე ორბალიანს ეს ინფორმაცია ჰქონდა არა ყურმოკვრით, რომელიმე ისტორიოგრაფიული მიმოხილვის საშუალებით, რომელიც იმ დროს თითქმის არ არსებობდა, არამედ მას ეს შრომები, როგორც წესი, თავად ჰქონდა ნაკითხული და დამუშავებული. ეს მისი, როგორც ისტორიკოსის და პუბლიცისტის ძლიერი მხარეა.

გამოვთქვათ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ალ. ორბელიანის დაინტერესება ევროპული ისტორიოგრაფიით მარტო ინგლისელი ისტორიკოსებით არ შემოიფარგლებოდა და ის იცნობდა ევროპის სხვა ქვეყნების ისტორიულ აზროვნებას, პირველ რიგში კი, ალბათ, საფრანგეთის და გერმანიის ისტორიოგრაფიას.

ალექსანდრე ორბელიანის მიერ ედ. გიბონის და ტომას ბაბინგტონ მაკოლის შემოქმედების დადებითი შეფასება სავსე-

ბით სწორი იყო და მათ მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, განპირობებული იყო მათი შრომების ბრწყინვალე ისტორიულ-ლიტერატურული მანერით, სტილით, რასაც, ეტყობა, ალ. ორბელიანი ისტორიული ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიიჩნევდა.

ლიტერატურა:

1. ალ. ორბელიანი, პლატონ იოსელიანს – წიგნში ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპეზზედ, თბ., 1999.
2. ალ. ორბელიანი, ქართველების ძველი დრო - „ცისკარი" 11, 1862
3. Эд. Гиббон, История упадка и разрушения Римской империи, 1-8. М. 1883-1886
4. Б. Попов. Эдуард Гиббон – историк, писатель и мыслитель эпохи просвещения (1737-1794) «Новая и новейшая история» №3. 1993.
5. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1. გვ. 900. შენიშვნა 190. თბ., 1954.
6. T Маколеи, История Англии, часть III сПб. 1863.
7. გ. კილერაძე, XVIII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაწ. 2. თბ., 1983. რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია, კულტურა, თბ., 1994. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
8. Эд. Фримен. Методы изуяения истории. М. 1906.
9. Лукиан, Избранное, М 1962

თავი IV

ალექსანდრე ორბელიანის გამონათქვამები ახალი ისტორიის საკითხებზე

ალბათ, ინტერესსმოკლებული არ იქნება ალექსანდრე ორბელიანის ზოგიერთი საინტერესო გამონათქვამი და მოსაზრება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის ცალკეულ კონკრეტულ თემებზე, რომლებსაც ის უმთავრესად საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში წამოჭრის.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში ყურადღებას იპყრობს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლიბერალების პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჩარლზ-ჯეიმზ ფოქსის (1749-1806) მოხსენიება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ჩვენს მიერ უკვე განხილული ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო, ანალიტიკური მუხტით გაჯერებული წერილი „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა" [1.152].

მის პოლემისტურ წერილში „პლატონ იოსელიანსა" ერთ ადგილას მოხსენიებულია ინგლისის პარლამენტი [2.106] ეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

თავის წერილში „ქართველების ძველი დრო", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში" 1861 წელს, ის ეხება საკმაოდ აქტუალურ თემას – ნაპოლეონის მიერ 1804 წლის 21 მარტს ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯას [3.214]. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ საინტერესოა და მისი უყურადღებოდ დატოვება გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

ბუნებრივია, ადვილი გასაგებია, რომ ალ. ორბელიანის დაინტერესებას დასავლეთ ევროპის ისტორიის ამ კონკრეტული საკითხებით ქართული სინამდვილე განსაზღვრავს. მას, პირველ რიგში, საქართველოს სვე-ბედი აღელვებს და ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში ყურადღებას მიაპყრობს ევროპის ისტორიას. ცდილობს გაიაზროს ევროპის გამოცდილების პოზიტიური მნიშვნელობა.

სავსებით მართლზომიერია, რომ ალ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის

თემატიკაზე და ეს მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნება, რომ მისთვის სასურველი პასუხები, სწორედ, აქ ეგულება. ალ. ორბელიანი სავსებით მართალი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ დასავლეთ ევროპის ისტორიაში მიმდინარე პროცესები ძირითადად დასრულებული სახით არის წარმოდგენილი. ანალოგიური ან სხვა მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ისტორიაში, ხშირად დაუსრულებელი სახისაა, რაც უპირატესად განუწყვეტელი საგარეო აგრესიით იყო გამოწვეული, რომლის მნიშვნელობასაც საბჭოთა ისტორიოგრაფია ჯეროვნად არ აფასებდა და სოციალ-ეკონომიკური ფორმაციების და კლასობრივი ბრძოლის ჩრდილში მიუჩენდა ხოლმე ადგილს.

დავიწყოთ ფოქსით: „აქ მე ინგლისელი ფუკსის მართველობას არ გაურევ, ამისათვის, რომ იგი მშვიდობასა და ნაპოლიონის მეგობრობას ეძებდა და არა კაცობრიობის სისხლის დაღვრას" [1.152]. პირველ ყოვლისა, მარადიული თავსატეხი ტერმინოლოგიის, მართლწერის, საკითხი. უფრო სწორი იქნებოდა ფოქსი და არა ფუკსი, როგორც ამას ალ. ორბელიანი წერს. ეს რუსიციზმის გამოძახილია. ფოქსის მოღვაწეობაზე აქცენტის გაკეთება საინტერესოა და აქედან კარგად ჩანს, რომ ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ ინფორმირებული იყო ამ ეპოქის, ინგლისის და საერთოდ ევროპის ისტორიაში. იცოდა კონკრეტული ფაქტები. საერთო ცოდნას უხამებდა კონკრეტულ მასალას. „მე ამათ დანვრილებით განსაჯაში არ შევალ, ამიტომ რომ ვინცა ნაპოლიონისა და მაშინდელი ანგლიის მთავრობის გარემოება იცის ისტორიით თუ სხვა ზაპისკებით, მალე მიხვდება იმათ საქმეს" [1.149].

ალექსანდრე ორბელიანის დაინტერესება XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწით, ლიბერალების ლიდერით ჩარლზ-ჯეიმზ ფოქსით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანნილად იმით იყო განპირობებული, რომ ფოქსს, უილიამ პიტ (უმცროსთან) ერთად, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც ეტყობა, ალ. ორბელიანის გამჭრიახ მზერას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

რაც შეეხება ალექსანრე ორბელიანის მიერ ფოქსის მოღვაწეობის შეფასებას ის ინგლისელი პოლიტიკოსის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანს და ამის გასაღები ფოქსის პოლიტიკურ კურსში ძევს.

ის ნაპოლეონის წინააღმდეგ უფრო ლიბერალური მოქმედებების მომხრე იყო. ფოქსისადმი ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობა ნაპოლეონისადმი დამოკიდებულებამ განსაზღვრა. შესაძლოა ალ. ორბელიანი აიდიალებდა ფოქსს, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ლიბერალების პოლიტიკა ფოქსის მეთაურობით ძალიან კარგად მიესადაგებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს და მას საფუძვლად ნაპოლეონისადმი დიდი სიმპათია ედო. ალ. ორბელიანის მიერ ფოქსის მოღვაწეობის დადებითი შეფასება, ცხადია, სავსებით სწორი იყო, მაგრამ მისი განდიდება არ ღირს, ზედმეტია.

ფოქსისადმი ალ. ორბელიანის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კიდევ ერთი გარემოების გამო იპყრობს ყურადღებას და საინტერესოა. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის, რომ მასში ძალიან კარგად მოჩანს უილიამ პიტისადმი (1759-1806) მისი უარყოფითი დამოკიდებულების ირიბი ანარეკლი. აქ აისახება რეალური ვითარება. საქმე ისაა, რომ უილიამ პიტი იყო საფრანგეთის და ნაპოლეონის დაუძინებელი მტერი და მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. ალექსანდრე ორბელიანის ღრმა რწმენით და ამაში არის რაღაც რაციონალური მარცვალი, ინგლისის და უილიამ პიტის პოლიტიკა მკვეთრად გამოკვეთილად კონსერტავიულ ხასიათს ატარებდა და არ შეესატყვისებოდა იმ ლიბერალური ღირებულებებს, რომელზეც ალ. ორბელიანი იყო ორიენტირებული. მას ინგლისის და უილიამ პიტის პოლიტიკა პროგრესულად არ ესახება. ამაში ალ. ორბელიანი სავსებით მართალია. ინგლისის პრემიერ-მინისტრის უილიამ პიტის მოღვაწეობისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ალ. ორბელიანის მიერ ნაპოლეონის განდიდება უდევს საფუძვლად. ნაპოლეონისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს მის კეთილგანწყობას ფოქსისადმი და უარყოფით მიდგომას

უილიამ პიტის მოღვაწეობისადმი. ამ შეხედულებას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. აქ ვგულისხმობ იმას, რომ უილიამ პიტის მთლიანად მინასთან გასწორება მეტისმეტი ხომ არაა?

ალექსანდრე ორბელიანი შორსაა უილიამ პიტის განდიდებისაგან, რაც, სხვათა შორის, დომინირებს XIX-XX საუკუნეების ინგლისურ ისტორიოგრაფიაში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ როგორც ჩანს ის სულ სხვა უკიდურესობაში ვარდება და, ჩვენი აზრით, შეიძლება ამუქებდა საქმის ვითარებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისის გადარჩენის საქმეში, ადმირალ ნელსონთან ერთად, უილიამ პიტის წვლილიც ერია [4.490].

ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო, პოლემისტური ხასიათის წერილში „პლატონ იოსელიანსა" ყურადღებას იპყრობს ინგლისის პარლამენტის მოხსენიება. აი, რას წერდა ალექსანდრე ორბელიანი: „რაო რათ ქუხდა, რას იძახდა, რა ანბავი ჰქონდა ჭაბუა დივანბეგსა, იმ კრებაში? – ინგლისის პარლამენტი ხომ არ ჰგონია პლატონს მეფე ირაკლისთან ის თავაზიანი თათბირი?"[1.106]. აქ საგულისხმო ჩანს ალექსანდრე ორბელიანის დადებითი დამოკიდებულება ინგლისის პარლამენტისადმი. ადვილი შესაძლებელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც უმთავრესად პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული თანაუგრძნობდა ინგლისის პოლიტიკური წყობას და სიმპათიით იყო გამსჭვალული ინგლისის პარლამენტის და კონსტიტუციური მონარქიის მიმართ [5].

ალექსანდრე ორბელიანი თავის სტატიაში „ქართველების ძველი დრო", რომელიც დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში" ეხება ერთ აქტუალურ საკითხს. თუ სახელმწიფოში არაა წესრიგი, არის თუ არა ამაში დამნაშავე მთავრობა, მეფე. ამ თემისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია. მეფე პასუხისმგებელია ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. ამის საილუსტრაციოდ ის ყურადღებას მიაპყრობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, კონკრეტულად კი რესტავრაციის პერიოდის ინგლისს, ჯეიმზ II-ის მმართველობის

დროს – 1685-1688 წლებში და 1804 წლის 21 მარტს ნაპოლეონის მიერ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტას. ორივე შემთხვევაში ის სწორ დასკვნას აკეთებს და არსებულ უწესრიგობაში მთავრობას ადანაშაულებს „მაკოლეის ისტორია ანბობს რა ანბავი ყოფილა ანგლიაში იაკობ II-ის დრო... ნაპოლეონმა ღერცოგი ენგიენსკი, რომ მოაშთობინა სიმართლე იყო" [3.214]. აღსანიშნავია, რომ ენგიენის ჰერცოგის დახვრეტას ის გმობს თავის წერილში „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა", რომელიც დაწერილია სოფელ კაზრეთში 1844 წლის 3 ივნისს [1.151]. აქ რამდენიმე გარემოება იპყრობს ყურადღებას. პირველ რიგში კარგად ჩანს, თუ რაოდენ ჩახედული და ინფორმირებული იყო ალექსანდრე ორბელიანი ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მან მისი საქმიანობა ზოგადად კი არა დეტალებში იცის. ცხადია, ეს ძალიან კარგია და ალ. ორბელიანის დიდ პლიუსს წარმოადგენს. მეორე, მიუხედავად ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობისა ალ. ორბელიანი მის ბრმა აპოლოგეტად ძნელია მივიჩნიოთ. ენგიენის ჰერცოგის დახვრეტისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულება, ვფიქრობ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ის აშკარად არ ამართლებს ნაპოლეონის ამ ნაბიჯს. აქ კიდევ ერთი გარემოება ჩანს საგულისხმო. ის გმობს ხელისუფლების ძალმომრეობას და იცავს პიროვნების ინტერესებს. ეს საინტერესოა და ალექსანდრე ორბელიანს ევროპული აზროვნების დონემდე ამაღლებს. ადამიანზე ძალმომრეობა მან თვით სათაყვანებელ ნაპოლეონსაც კი არ აპატია. აქ, ალბათ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტი იქნებოდა.

სხვათა შორის, ალექსანდრე ორბელიანის ჩახედულება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებში კარგად გამოჩნდა 1832 წლის შეთქმულების დროს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი პასუხები დაკითხვის პროცესზე, როდესაც მას თავის დაცვის მიზნით მოჰყავს არგუმენტები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიიდან, მაგრამ ეს ძალზე ზოგადია და მსჯელობის ფართოდ გაშლის საშუალებას ნაკლებად იძლევა. [7].

* * *

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ამგვარი სურათი იკვეთება. რა თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანის ცალკეული გამონათქვამები მეტად მნირ მასალას გვაწვდის, მაგრამ ეს მცირე ინფორმაცია, ვფიქრობთ, საინტერესოა და მისი წაყრუება, მიჩუმათება, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ ნარმოდგენას გვიქმნის და საშუალებას გვაძლევს ვცადოთ განვსაზღვროთ, თუ როგორი იქნებოდა ამ საკითხებისადმი მისი მიდგომა.

ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობილება ინგლისის პრემიერ-მინისტრ ფოქსისადმი და ნეგატიური დამოკიდებულება უილიამ პიტისადმი, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და უწინარესად მისი პროფრანგული ორიენტაციით, პირველ რიგში კი ნაპოლეონისადმი სიმპათიებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ალექსანდრე ორბელიანის მიერ ინგლისის პარლამენტის დადებით კონტექსტში მოხსენიება საგულისხმო ჩანს. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ მას მოსწონდა ინგლისის პოლიტიკური წყობა და თანაუგრძნობდა კონსტიტუციურ მონარქიას. გასაკვირი არაფერია. ის უმთავრესად ევროპულ რეალიებზე იყო ორიენტირებული და ფრანგული განმაათლებლობის ფარვატერს მიუყვებოდა.

ცხადია, საავსებით მართალი იყო ალექსანდრე ორბელიანი, როდესაც ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯაში ნაპოლეონს ადანაშაულებს, თუმცა „მოაშთობინა" მთლად ზუსტი ფორმულირება არ გახლავთ. ის დახვრიტეს. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის მცირე ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

1. ალ. ორბელიანი, ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა – წიგნი. ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, თბ., 1999.
2. ალ. ორბელიანი, პლატონ იოსელიანსა – წიგნ. ალ. ორბელიანი, სიტვა მამულის ტრაპესზედ, თბ., 1999.
3. ალ. ორბელიანი, ქართველების ძველი დრო - „ცისკარი" 11. 1861.
4. ჩ. ჯ. ფოქსის და უ. პიტის შესახებ არსებობს მეტად მიდარი ლიტერატურა. История XX века, под редакции Е. Лависса и А Рамбо т. 2. М. 1938.
5. Р. Гнейст. Историй государственных учреждении Англии. М. 1885. Дж. Грин. Йстория Английского народа т. 4. М., 1892. Дж Тревельян. Социальная история Англии, обзор шести столетний от Чосера до королевы Викротии. М., 1959.
6. Талеиран Мемуары М., 1959. Наполеон. Избранные произведения. М., 1956. Э. Тарле. Наполеон. М. 1957. А Манфред. Наполеон Бонапарт. М. 1973. ე ტარლე, ტალეირანი, თბ., 1965, დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნაწილი 1. თბ., 1994. კ ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005.
7. გ. გოზალიაშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ნაწ. 3. თბ., 1976.

დასკვნა:

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები და ცალკეული საგულისხმო გამონათქვამები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ის ჩახედული იყო, არა მარტო დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებში, არამედ გარკვეულ დაინტერესებას ამჟღავნებდა დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის თემატიკისადმი. იცნობდა მის ცალკეულ თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ედუარდ გიბონის და ტომას ბაბინგტონ მაკოლის ნიგნების მოხსენიება მრავლისმეტყველია და, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ცხადია, ეს საინტერესოა და ფაქტობრივად ქართულ სინამდვილეში ევროპის ქვეყნების ისტორიოგრაფიის თემატიკით დაინტერესების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ სიმპტომად გვევლინება.

ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ალექსანდრე ორბელიანის სახით საქმე გვაქვს ევროპული ორიენტაციის თვალსაჩინო ქართველ მოაზროვნესთან. უდავოდ, მისასალმებლად მიგვაჩნია, რომ ალ. ორბელიანის დამოკიდებულება ევროპული ღირებულებებისადმი შემოქმედებით ხასიათს ატარებს და მიმბაძველობით არ გამოირჩევა. ის უმთავრესად აქცენტს აკეთებს იმ პოზიტიურ ღირებულებებზე, რომელიც, მისი შეხედულებით, ევროპას გააჩნია. პირველ ყოვლისა, მას ასეთად ესახება განათლება. ამგვარი ხედვა, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მასში, უწინარესად განმაათლებლების გავლენის ანარეკლი მოჩანს.

„ევროპა არის ლამპარი მთელი ქვეყნისა, განმაათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსნავლეთა, სიბრძნე გამგეთა და სიკეთილე კაცობრიობისა. იგი ევროპია არა ეხლა, ვინ იცის რამდენი საუკუნოები, განათლების წარმატებაშია და მოუსვენრად ცდილობს მისთვის, მაგრამ დღევანდლამდის ღრმად მსნავლულები თვით ევროპელნი ამაზე დაჯერებული არიან. ჯერ იმ ხარისხზე არ ასულა განათლება, რომ კაცსა ბოროტება გამოვგლიჯოთ სრულიადაო. საუკუნის წლებიდან, ამ საუკუნემდის ასე ევროპია. ამ მოცადინეობის ტანჯვავს ზრუნვაში.

ევროპისგან უყურადღებოდ დაგდებული საქართველო და საქართველოსგან სრულიად უცნობი ევროპია, ხანდისხ-ან მოგზაურნი მოვიდოდნენ აქა (ე. ი. საქართველოში – მ. კ.) აქაურობას აღწერდნენ, ქართველების ქებას, კაცებისას თუ დედაკაცებისას გადმოსცემდნენ წერილებში და მოქმელი არა-ვინ ყავდათ ეთქოთ, ვითარნი არიან ევროპელნი, რომ მათთან მახლობლობა ჰქონოდეთ ჩვენებს. მართალია, ევროპის შემოსუ-ლი პატრები უფრო შეიძლებოდნენ ამას, რადგან ყოველ სახლში მახლობლობა ჰქონდათ, ისინი ამის მეტს არას ზრუნდავდნენ ქართველები გაეფრანგებინათ (ე. ი. კათოლიკურ სარწმუნოე-ბაზე გადაეყვანათ – მ. კ.).

ვინიცობაა, თუ ჩვენ მამა-პაპათ ევროპელებთან მეზობ-ლობა ექნებოდათ მაშინ შეიძლებოდა ყველას დარწმუნება, რომ ქართველები ავდ(ენის ნიჭიერებით სავსენი არიან. დიდი განათლება იყო ჩვენსა ქვეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგება წინ გარემობას? – საშინელ ვეშაპივით გაწოლილია ოსმალოს სახელმწიფო ჩვენსა და ევროპას შუა. ის ფანატიზმით გარე-ტიანებული ოსმალოს ერი, ჩვენებსღა მოაგონდებოდა ევროპია, რომელსაც ეკუთვნოდა ოთხივე კუთხით. სპარს-ოსმალოები და სრულიად დანთქმას უპირებდნენ. აქ, ამის დაწერა, ცხადია, ად-ვილია და წასაკითხად უფრო ადვილია, მაგრამ თუ სრულიად გონებაში წარმოიდგენთ ამ ანბავს, ზარდასაცემი საშინელება ყოფილა საქართველოსთვის" [1. 211-212].

ალექსანდრე ორბელიანის ეს მსჯელობა საყურადღებოა. ქართულ რეალობაში საქართველოს და ევროპის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის დასმის, გაშუქების, პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობას ნარმოადგენს. აქ წამოჭრილ თემებს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს და მათდამი ალ. ორბელიანის დამოკიდებულება რეალისტურია.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში, რომელიც ეხება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხებს საუკეთესოა მისი წერილები „ნაპალეონი და მაშინდელი ანგლი-ის მთავრობა" და „სიტყვა იტალიისათვის". გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალ. ორბელიანის ეს ორი საინტერესო

წერილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო შენაძენია და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების პოპულარიზაციის და გააზრების გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობს.

ვფიქრობთ, უყურადღებოდ არ შეიძლება დავტოვოთ ალექსანდრე ორბელიანის ცალკეული საინტერესო გამონათქვამები დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებზე. ეს აღნიშნულ თემაზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის. მას ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია და შეიცავს გარკვეულ მინიშნებას თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ თემისადმი ალ. ორბელიანის დამოკიდებულება. ამ გამონათქვამებიდან, რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობს ევროპის, ისტორიოგრაფიის თემატიკით დაინტერესება. ის იცნობდა ევროპელი ისტორიოგრაფიის კორიფეებს გიბონს და მაკოლის. ეს საგულისხმოა და ფაქტობრივად ქართულ სინამდვილეში ამ პრობლემატიკით დაინტერესების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ სიმპტომს წარმოადგენს. ამ დაინტერესების მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიული აზროვნების პოპულარიზაციის საქმეში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული ნინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ ჩახედული ჩანს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის აქტუალურ პრობლემებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია მისი დაინტერესება დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიის საკითხებით. ფაქტობრივად ეს წარმოადგენს ქართულ სინამდვილეში ისტორიოგრაფიის თემატიკაზე ყურადღების გამახვილების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობას. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ალექსანდრე ორბელიანი არ იყო ვიწრო ფაქტოლოგი, ემპირიკოსი, ისტორიკოსი და დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხ-

ებზე მისი მსჯელობა ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული, რომელიც უმთავრესად ევროპულ, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა, ორიენტირებული. მას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ სფეროში ალექსანდრე ორბელიანის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის საქმეში.

ლიტერატურა:

1. ალ. ორბელიანი,"ქართველების ძველი დრო – „ცისკარი" № 11. 1861.